ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

1980 | 26 დეკემბერი, პარასკევი
№ 52 (2229)
გამოცემის 49-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ



## წინა-საყრილობო ვახტზე



## ქვეყნის, ხალხის საკეთილდღეოდ!

რამდენიმე დღეც და მიიწურება სიკეთისა და დოვლათის მომტანი 1980 წელი. რამდენი გამარჯვება, რამდენი წარმატება უპატაკეს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა პარტიას, ქვეყანას. სასახელო მაჩვენებლები ერთმანეთს ემატებოდა როგორც ჩვენი სოფლებიდან, ისე ქალაქებიდან.

დიახ, დიდი წარმატებების მომტანი იყო 1980 წელი, მეათე ხუთწლედის დამაგვირგვინებელი წელი!

ახლა ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დიდი მიზანია სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კპ XXVI ყრილობას. ყველანი წინასაყრილობო ვახტზე! — ამ მოწოდებით იღვწის ჩვენი რესპუბლიკა.

მოწინავეთა შორის არიან თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მშრომელები, მათ შორის ზეინკალი დავით დოშოიანი და ხარატი ტრისტან გულაშვილი. წარმოების მოწინავე მუშაკებმა ოთხ წელიწადზე ნაკლებ დროში წარმატებით შეასრულეს პირადი ხუთწლედები და ახლა მეთერთმეტე ხუთწლედის ანგარიშში მუშაობენ. პასუხად მოწოდებისა — „სკკპ XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა"—ამ მოწინავე მშრომელების ყოველდღიურმა მაჩვენებლებმა 170-180 პროცენტს მიაღწია. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს — ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდი ფორუმის დღისათვის შეასრულონ 1981 წლის პირველი კვარტალის გეგმა.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში წარმატებით ინერგება მაღალი ტექნოლოგია, რაც სრული გარანტიაა იმისა, რომ წარმატებით შესრულდეს პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებები.

ამ მხრივ ერთ-ერთი საუკეთესო საწარმოა სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატი, რომელიც უშვებს ხარისხის სახელმწიფო ნიშნიან საძილე გარნიტურებს „მზიურს" და „ელისოს".

სიახლეთა დანერგვაში თავისი წვლილი შეაქვთ საწარმოს ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც ხელმძღვანელობს ავეჯის ფაბრიკის მთავარი ინჟინერი რომან ხარებავა. სწორედ ახალგაზრდებმა დაამონტაჟეს ავეჯის დეტალთა მოფანერების ახალი ნაკადური ხაზი, რომელიც მნიშვნელოვნად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. მათი მიზანია ამ დღეებში, ახალი წლის დადგომისთანავე, ეს ხაზი წარმოებაში დანერგონ, გადასცენ საექსპლოატაციოდ,—ეს იქნება ახალგაზრდობის პატაკი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კპ XXVI ყრილობისადმი.

სურათებზე: დავით დოშოიანი და ტრისტან გულაშვილი; სამტრედიის ხის დამმუშავებელი კომბინატის ინჟინერ-ტექნოლოგები: თენგიზ კუხიანიძე, ვლადიმერ გეგუჩაძე და მექანიკოსი გიორგი თავაძე.

ფოტოები ვ. მორგუნოვის და გ. გერსამიასი (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სადღეისო რეპორტაჟი

## ფარდა აიხდება... ახალ თეატრში

თემურ აბულაშვილი

საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, თელავში 55 წლის წინათ, 1925 წლის 28 ივნისს (კვირა დღეს) გაიხსნა სახელმწიფო დრამატული თეატრი. იმ დღეს მაყურებელს უჩვენეს ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარო". სპექტაკლი დადგა სახელოვანმა ქართველმა რეჟისორმა კოტე მარჯანიშვილმა.

თუმცა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები, რომ თელავში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მოქმედებდა თეატრი.

გავეცნოთ ორ ამონაწერს მიხეილ ზურაბიშვილის ახალი წიგნიდან „თელავის თეატრი" (მას მერმის გამოსცემს გამომცემლობა „ხელოვნება"):

„1850 წელი განახლებული ქართული თეატრის დაბადების წელია. გ. ერისთავმა აღადგინა ქართული პროფესიული თეატრი თბილისში და ამან გამოაღვიძა პერიფერიაც. მათ შორის თელავიც იყო. აქ ადრეც იმართებოდა სპექტაკლები, მაგრამ პირველი ოფიციალური ცნობა მხოლოდ 1867 წლიდან მოგვეპოვება. ზ. წინამძღვრიშვილი გაზეთ „დროებაში" (1867 წ. № 2) წერდა: „წარსულს 1866 წელსა ყოფილა ორი წარმოდგენა თელავის ქართული თეატრისა: „გაყრა" გ. ერისთავისა და „მზის დაბნელება" ზ. ანტონოვისა. პუბლიკასაც დიდი სიამოვნება მიუღია წარმოდგენისაგან და რაც შემოსავალი ყოფილა, ზავედენიის სასარგებლოდ გადაუდვიათ".

ზემოხსენებული ავტორის მიერ დამოწმებულ მ. აბრამიშვილის წიგნს „ძველი ქართული თეატრის ისტორიას" (1925 წ., გვ. 27) უფრო შორეულ წარსულში მივყავართ:

„ერეკლეს შვილიშვილი — ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი წერს: თელავსა და თბილისში ქართულ კომედიებსაც თამაშობდნენ მეფე ირაკლის დროში, რომლისაც გამმართველი იყო გაბრიელ მაიორი.

ცნობილია, რომ 1758 წელს ერეკლე მეორემ თელავში გახსნა საფილოსოფოსო-სათეოლოგო სკოლა, ხოლო 1782 წელს კი თელავში გაიხსნა სასულიერო სემინარია, რომლის პროგრამა და სწავლების შინაარსი რუსეთის სათეოლოგო სკოლის მსგავსი იყო, აქ ისწავლებოდა ღვთისმეტყველება და ფილოსოფია. მოქმედებდა „პიიტიკის კლასიც", სადაც ისწავლებოდა „რიტორიკა ანუ სიტყვიერების თეორია და დეკლამაცია". მოსწავლეები ეცნობოდნენ დრამატული თეატრის წესებს, შემდეგ, თვითონვე ადგენდნენ პიესასა და ამზადებდნენ წარმოდგენას, რომელსაც წარმოადგენდნენ სასკოლო სცენაზე".

როგორც ვხედავთ, თეატრის ისტორიკოსები თელავის დრამატული თეატრის დაარსების სამ თარიღს ასახელებენ. უდავო ჭეშმარიტებაა, თუ ვიტყვით, რომ თელავი უძველესი თეატრალური ტრადიციების ქალაქია, სადაც დღესაც ნაყოფიერად მუშაობს ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი.

როგორია თეატრის შემოქმედებითი სახე? რა პრობლემები დგას მის ცხოვრებაში? როგორ განაზოგადებს თანამედროვე გმირის ზნეობრივ სახესა და მისწრაფებებს, როგორ ებრძვის ჯერ კიდევ შემორჩენილ მანკიერებებს, და საერთოდ, რა გზით მიდის თეატრი, როგორია მისი მხატვრულ-იდეური მიმართულება?

ამ კითხვებზე, რაღა თქმა უნდა, ამომწურავი პასუხის გაცემა საგაზეთო წერილში გაძნელდება, მაგრამ თეატრის შემოქმედებითი სახის გასაცნობად, უპირველესად, საჭიროა აღვნიშნოთ, თუ რომელ დრამატურგიულ ნაწარმოებებს სთავაზობს იგი მაყურებელს.

მიმდინარე 1980-81 წლის სეზონში თელავის დრამატულმა თეატრმა (თეატრის დირექტორი კახი ქემაშვილი, მთავარი რეჟისორი ნუგზარ ლორთქიფანიძე) განახორციელა ვალენტინ რასპუტინის „იცოცხლე და გახსოვდეს" (თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ), გიორგი ხუხაშვილის „აღმართ-დაღმართი" (ახალი რედაქციით) და ვალერიან კანდელაკის „ხვალ დოქტორი ვიქნები". სეზონის დამლევამდე თეატრმა უნდა დადგას აზატ აბდულინის „მეცამეტე თავმჯდომარე" (თარგმნა გურამ ბაჩიაშვილმა), სპექტაკლი მიეძღვნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, „პოეზიის საღამო" (ეძღვნება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას), ვალერიან კანდელაკის „დრო—24 საათი" (ეძღვნება საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს), მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობის — „მიწის ყივილის" ინსცენირება (ავტორები—ვაჟა ბრეგაძე და ვაჟა ძიგუა), თამაზ გოდერძიშვილის „ვირის ჩრდილი", ევგენი აგრანოვსკის „შეაჩერეთ მალახოვი", და ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული". გარდა ამისა, თეატრის მიმდინარე რეპერტუარშია ქართველი, საბჭოთა და საზღვარგარეთელი დრამატურგების ნაწარმოებთა მიხედვით წინა წლებში შექმნილი ცხრა სპექტაკლი.

თეატრი მძიმე არტილერიააო, იტყოდა ხოლმე სერგო ზაქარიაძე. მისთვის, ვისაც თეატრი უყვარს, ვინც „თეატრის კაცია", ამ სამიოდ სიტყვაში საკმაოდ რელიეფურად არის გამოკვეთილი თეატრის ცხოვრების სირთულე, მისი ავ-კარგი. გამოჩენილი მსახიობის ნათქვამში, უწინარეს ყოვლისა, ისაა ნაგულისხმევი, რომ გამარჯვებას შეიძლება მარცხიც მოჰყვეს; თეატრის მიერ მოპოვებული წარმატებები ნელ-ნელა, მისხალ-მისხალ შენდება მწვავე პრობლემატიკის, ურთულესი მოვლენებისა და კონფლიქტების დაძლევით. გარეშე თვალისათვის შეუმჩნეველი და თეატრისათვის სასიამოვნოდ აფორიაქებული შემოქმედებითი ძიება დარბაზის დაცარიელების, ან როგორც თეატრში ამბობენ, ფარდის დახურვის შემდეგაც გრძელდება და „მძიმე არტილერიის" მაცოცხლებელ ნერვს წარმოადგენს.

რამდენად ძლიერია ეს სასიცოცხლო ნერვი თელავის დრამატულ თეატრში?

თელაველებმა მიმდინარე თეატრალურ სეზონში უნდა წარმოადგინონ შვიდი პრემიერა და ორი განახლებული დადგმა. უნდა ითქვას, რომ რეპერტუარი გეგმაზომიერადაა შედგენილი (ერთი — მსოფლიო კლასიკის ნიმუში, სამი — ქართული, სამი მოძმე დრამატურგთა პიესები. ამას დავუმატოთ მ. ჯავახიშვილის მოთხრობის ინსცენირება და პოეზიის საღამო). მართალია, ეს ნაწარმოებები მხატვრული და იდეურ-შინაარსობრივი დონით დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ თეატრის გადაწყვეტილება, მიზანსწრაფვა — მაყურებელს უჩვენოს ჩვენი თანამედროვეობის მხატვრულად ხორცშესხმული მნიშვნელოვანი მოვლენები, ებრძოლოს მანკიერებას და, რაც მთავარია, წინ წამოსწიოს თანამედროვე გმირის სახე, უდავოდ გამართლებული და მოსაწონია. მაგრამ, როგორც თეატრის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, მათ წინაშე მწვავედ დგას საკუთარი რეპერტუარის ძიებისა და აქტუალურ თემებზე შექმნილი ნაწარმოებების მოპოვების პრობლემა. დღემდე გადაუჭრელია ერთ-ერთი არსებითი საკითხი. თეატრს საქმიანი კონტაქტები აქვს ქართველ მწერლებთან, დრამატურგებთან, დიდი სურვილი აქვს შემოიკრიბოს თავისი ავტორები, მაგრამ ეს კეთილშობილური განზრახვა ჯერჯერობით ვერ ხორციელდება.

პერიფერიის თეატრში ერთ-ერთი ძნელად დასაძლევი პრობლემაა დასის შემოქმედებითი დატვირთვის პრობლემა.

თელაველები სეზონში თამაშობენ 350 სპექტაკლს. ამიტომ, ხშირად დასი იყოფა ორ, ზოგჯერ სამ ჯგუფად და პარალელურ სპექტაკლებს უჩვენებს მაყურებელს. თელავის თეატრი სარაიონთაშორისო თეატრია და ემსახურება კახეთის რვავე რაიონსა და საინგილოს. შეიძლება ითქვას, რომ მსახიობთათვის დიდი ბედნიერებაა სტაციონარზე თამაში, გასვლით სპექტაკლებზე კი (ელემენტარულ პირობებს მოკლებული სცენა და დარბაზი) სრულყოფილებას კი არ იძენს, იკარგება სპექტაკლის პირვანდელი სახე, ხარისხი, დუნდება მსახიობის ემოციური მუხტი, რაც თავისთავად დაღს ასვამს მსახიობის შემოქმედებით ზრდას, ხელს უშლის მისი შესაძლებლობების სრულად გამოვლინებას.

პერიფერიის თეატრების ეს თავისებურება კარგად უნდა გაითვალისწინონ შესაბამისმა შემოქმედებითმა კავშირებმა და სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ თელავის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს. განსაკუთრებულ მზრუნველობას მოელის პერიფერიის თეატრი, და მათ შორის თელავისაც, მწერალთა კავშირისა და მისი დრამსექციისაგან, — ახალი პიესებით, გმირული თანამედროვების ამსახველი ნაწარმოებებით, რადგან სწორედ რეპერტუარი განსაზღვრავს თეატრის ნამდვილ სახეს და მიმართულებას.

32 მსახიობისაგან შემდგარი დასი, რომელთანაც ორი რეჟისორი მუშაობს, ცხადია, ვერ ვასწვდება ამას. ამიტომ თეატრი მღელვარებით ელის იმ ათ ახალგაზრდას. რომლებიც მერმის ამთავრებენ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს და თელავის თეატრში უნდა ჩაიდნენ სამუშაოდ;

დღეს ყველა თელაველი დიდი სიხარულით ელის იმ ახალ თეატრში გადასვლას, რომლის მშენებლობა კარგა ხანია დაიწყო და ახლა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, განსაკუთრებულად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

ეს დიდმნიშვნელოვანი მშენებლობა წლების მანძილზე მართლაც გაჭიანურდა, მაგრამ ბოლო ხანს მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. თელავის ახალი თეატრის მშენებლობა განსაკუთრებული მზრუნველობის არეში მოექცა.

მართლაც საუცხოო თეატრი შენდება თელავში. პროექტის ავტორია არქიტექტორი გრიგოლ ჯაბუა. ახალი თეატრი ნამდვილი სადღესასწაულო თავშეყრის ადგილი იქნება ხელოვნების მოყვარულთათვის. 800-ადგილიანი მაყურებელთა დარბაზი, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი 12-მეტრიანი დიამეტრის მბრუნავი სცენა, და ყოველივე ის, რაც საჭიროა თეატრში მოსული კაცისათვის, სულ მალე მიიღებს თავის საბოლოო სახეს.

ძალზე დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეს არქიტექტორმა და მშენებლებმა უძველესი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ. თეატრის ფოიეში მოხდა ძველი და ახალი ქართული ხუროთმოძღვრების შერწყმა. ხელუხლებელი, პირვანდელი სახით დატოვეს ისტორიული ძეგლი — ერეკლე მეფისდროინდელი სადროშო, რომლის რესტავრაციის შემდეგ აქ ბინას დაიდებს თელავის თეატრის მუზეუმი.

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს 189-ე მოძრავი-მექანიზებული კოლონის მშენებლებს დღეისათვის მართლაც განსაცვიფრებელი ტემპი აქვთ აღებული (სამმართველოს უფროსი — ივანე ბეჟუაშვილი, სამუშაოთა მწარმოებელი — ალბერტ ამრუზოვი). ამჟამად შენობის ექსტერიერი იმოსება ქვის პერანგით, მიმდინარეობს შიდა სამუშაოები. მშენებლობაზე დაწესებულია მკაცრი კონტროლი. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იური ქედიშვილი ყოველ შაბათს ამოწმებს მშენებლობის მიმდინარეობას, ატარებს საწარმოო თათბირს, რომელსაც ესწრებიან მინისტრები, წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები, მშენებელი ინჟინრები, სამუშაოთა მწარმოებლები. თათბირზე ჯამდება განვლილი სამუშაო კვირის შედეგები, ისახება ახალი პროგრამა მომავალი კვირისათვის, ადგილზევე წყდება ყოველი სასწრაფოდ გადასაჭრელი საკითხი. დღეისათვის ათვისებულია 2 მილიონ 24 ათასი მანეთი, დარჩენილია 341 ათასი მანეთის სამუშაოები.

უდავოდ დასაფასებელია მშენებელთა 120-კაციანი რაზმის პასუხისმგებლობა და ენთუზიაზმი დაკისრებული საქმის კეთილად დაგვირგვინებისათვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი თეატრის გახსნამდე დარჩა სულ ოთხიოდე თვე (იგი საექსპლოატაციოდ გადაეცემა 1981 წლის მაისში და მიეძღვნება საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს) და თეატრის შენობაზე დღესაც გამოკრულია ძალზე საგულისხმო ლოზუნგი — „მშენებლობა ელის ახალგაზრდობას!". უნდა ვივარაუდოთ, რომ უფრო მეტ გულისხმიერებას გამოიჩენს რაიონის ახალგაზრდობა და თავის მარჯვენას შეაშველებს კულტურის ამ უდიდესი კერის მშენებლობას.

დღეს საქართველოს კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება, პრესა, ტელევიზია, რადიო, რაიონის ხელმძღვანელობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ თელავის თეატრისადმი. ამ დახმარების მიუხედავად, თეატრის ცხოვრებაში დგას პრობლემები, რაც გადაჭრას ელის. მაგრამ შორს აღარაა ის დრო, როდესაც თეატრი მოღონიერდება, მძლავრად გაშლის ფრთებს და შეზღუდულ სივრცეებს გადალახავს.

სულ მცირე ხანი და კიდევ ერთი ახალი თეატრი დაამშვენებს ჩვენს რესპუბლიკას, კიდევ ერთი კერა შეემატება ქართულ კულტურას, რაც ჩვენი კულტურის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ზრუნვის ნათელი დადასტურება იქნება.

„თეატრი — ჩემი სიყვარული". რამდენ ხელოვანს უთქვამს ეს სიტყვები და მათში უზომო სიხარული, აღფრთოვანება ჩაუქსოვია. „თეატრი — ჩვენი სიყვარული". ამასვე იტყვის მადლიერი მაყურებელი, ხალხი, რომელიც ეს წუთია გამოვიდა დარბაზიდან, რომელიც იმ სასწაულის მოწმე და მონაწილე იყო, ახლახან მის თვალწინ რომ შეიქმნა, ის ცეცხლი უწვავდა გულსა და ხელებს, ახლახან რომ ენთო სცენაზე.

მწერალთა პარტიულ კრებაზე

## ახალი ჰორიზონტები. ახალი ამოცანები

24 დეკემბერს გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრება.

კრებაზე მოხსენებით „პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი" — განხილვა და საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი გიორგი ქორქოლიანი.

მომხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა აღნიშნული პროექტი, დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ პუნქტებზე, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდა-განვითარებას, მის პერსპექტივებს ეხება, მოიყვანა საგულისხმო ციფრები, რომლებიც ნათლად მეტყველებენ, თუ რა დიდი ყურადღებით, რა გულისხმიერებით ეპყრობა სკკპ ცენტრალური კომიტეტი საქართველოს რესპუბლიკას.

შემდეგ მომხსენებელმა ილაპარაკა ქართველ მწერალთა ამოცანებზე, თქვა, რომ ქართველი მწერლები აქტიურად ეხმაურებოდნენ ჩვენს დღევანდელობას, თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ მეათე ხუთწლედის დიად აღმშენებლობათა გმირულ ჰეროიკას, არ ყოფილა ჩვენს სინამდვილეში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელზედაც თავისი მართალი, პრინციპული სიტყვა არ ეთქვათ.

დასასრულს მომხსენებელმა გამოთქვა რწმენა, რომ ქართველი მწერლები კვლავაც ძველებური შემართებით იდგებიან ხალხის, მშობლიური კომუნისტური პარტიის სამსახურში და თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის ნათელი იდეალების გამარჯვებაში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ჯანსულ ჩარკვიანი, გიორგი ციციშვილი, ნოდარ დუმბაძე, მწერლები მორის ფოცხიშვილი, სიმონ წვერავა, ვახტანგ გორგანელი, ლავრენტი ჰეჰინაძე, რევაზ თაბუკაშვილი.




## კონფერენციას მიეძღვნა

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის 38-ე კონფერენცია.

ამ კონფერენციას დედაქალაქის კომუნისტები უპატაკებენ თავიანთ წარმატებებს, ილაპარაკებენ იმ მიზანდასახულობათა შესახებ, რაც მათ დააკისრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ და რითაც უნდა შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმს — სკკპ XXVI ყრილობას. ილაპარაკებენ იმაზე, თუ რა გაკეთდა ჩვენს დედაქალაქში მეათე ხუთწლედში, რა სიახლეებს გვპირდება მომავლის პერსპექტივები.

დღევანდელ კონფერენციას ოთხი საკავშირო გარდამავალი დროშით ეგებება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული ორგანიზაცია.

სასიკეთო ხელი დაეტყო ჩვენს დედაქალაქს განვლილ საანგარიშო პერიოდში. დედაქალაქის ფაბრიკა-ქარხნებმა მეათე ხუთწლედის წარმატებით შესრულება უპატაკეს სამშობლოს. უფრო გამშვენიერდა თბილისი. აღდგა და დამშვენდა თბილისის ძველი უბნების დიდი ნაწილი, საფუძველი ჩაეყარა ბევრ ახალ წამოწყებას. მთელი რესპუბლიკის მშრომელთა გრანდიოზულ დღესასწაულად იქცა აწ უკვე ტრადიციად ქცეული „თბილისქალაქობა".

თბილისს — ძველ, მაგრამ მარად ჭაბუკ ქალაქს უმღერიან ქართველი პოეტები, რომელთა შემოქმედებაში საქართველოს დედაქალაქს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია.

თბილისის პარტიულ საქალაქო კონფერენციას უძღვნა თავისი ორი გამოცემა, ქართულ და რუსულ ენებზე, გამომცემლობა „მერანმა". კრებულებში თავმოყრილია ქართველ პოეტთა ლექსები. ეს გამოცემებია: „შენ გიმღერი, ჩემო თბილისქალაქო" და „პაემანი თბილისთან" (რუსულ ენაზე).

პირველ წიგნში მკითხველი გაეცნობა გ. აბაშიძის, ი. აბაშიძის, კ. კალაძის, ი. ნონეშვილის, ბ. შინკუბას, რ. მარგიანის, შ. ამისულაშვილის, ს. ავჩიანის, მ. მაქსიმოვის, მ. ლებანიძის, ა. გეწაძის, ა. სულაკაურის, ნ. გურეშიძის, მ. მაჭავარიანის, გ. ხუხთაუთის, შ. ნიშნიანიძის, ე. ევტუშენკოს, ტ. ბროს, ვ. კოროტიჩის, კ. ლომიას, ვ. ყაზარიანის, ფ. ხალვაშის, გ. ძნელაძის, მ. კახიძის, ჯ. ჩარკვიანის, ტ. ჭანტურიას, ო. ჭილაძის, უ. ორილოს, მ. ფოცხიშვილის, ა. აბულაშვილის, ა. სვანის, ვ. ჯავახაძის, მ. სინელნიკოვის, ე. კვიტაიშვილის, ნ. წერეთლის, ა. გრაშის, ლ. ერაძის, თ. ერისთავის, ტ. მებურიშვილის, ჯ. ჩახავას, დ. ბედიანიძის, ხ. ადეიშვილის, ჯ. ფხოველის, ე. კერძევაძის, ე. ნიჟარაძის, გ. ჯულუხიძის ლექსებს. მოკავშირე რესპუბლიკებისა და უცხოეთის პოეტთა ლექსების თარგმანები ეკუთვნით ცნობილ ქართველ პოეტებსა და მთარგმნელებს. რედაქტორია მ. ჯაფარიძე.

რუსულად გამოცემულ კრებულში — „პაემანი თბილისთან" — დაბეჭდილია რუს პოეტთა ლექსები: ა. პუშკინი, ვ. კიუხელბეკერი, მ. ლერმონტოვი, ი. პოლონსკი, ს. ნადსონი, კ. ბალმონტი, ი. ბუნინი, ვ. ბრიუსოვი, ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი, ს. გოროდეცკი, ვ. კამენსკი, ბ. ლივშიცი, ი. მოლჩანოვი, ბ. პასტერნაკი, ო. მანდელშტამი, ნ. ტიხონოვი, ს. სპასკი, ნ. ზაბოლოცკი, პ. ანტოკოლსკი, ვ. დერჟავინი, ა. კოჩეტკოვი, ს. კირსანოვი, ი. სმელიაკოვი, მ. ლუკონინი, ბ. ახმადულინა, მ. ბორისოვა, ა. ვოზნესენსკი, მ. დუდინი, ე. ევტუშენკო, ა. ჟაროვი, ა. ჟიგულინი, ს. კუნიაევი, ვ. ლეონოვიჩი, ა. მეჟიროვი, ე. ნიკოლაევსკაია, ბ. ოკუჯავა, ი. რიაშენცევი, მ. სინელნიკოვი, ს. სმირნოვი, ვ. სოკოლოვი, ა. ტარკოვსკი, ა. ციბულევსკი, ო. ჩუხონცევი.

ქართულად გამოცემული კრებულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: კრებული თავისებური ნობათია, რომელსაც პოეტები თბილისის პარტიული ორგანიზაციის 38-ე კონფერენციის დელეგატებს სთავაზობენ.

„მერანის" მიერ გამოცემული ეს ორი წიგნი მართლაც პოეტური ხადიდებელია ჩვენი თბილისისა.






ჩვენი ქვეყანა ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVI ყრილობის შესახვედრად. ჯამდება განვლილ ხუთ წელიწადში გაწეული შრომის შედეგები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მეცნიერებაში, კულტურაში, ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მხრივ არც მწერლობა წარმოადგენს გამონაკლისს.

ტრადიციად დამკვიდრდა და ჩვენი ცხოვრების წესად იქცა, რომ ყოველი ყრილობა, ერთი მხრივ, აჯამებს განვლილი პერიოდის შედეგებს, მეორე მხრივ, სახავს ახალ ამოცანებს მომდევნო პერიოდისათვის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ყრილობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების ახალ ეტაპს ქმნის, ახალ მიჯნებს საზღვრავს.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე ქართული საბჭოთა ლიტერატურა მნიშვნელოვან ამაღლებას განიცდიდა და იგი ხელდამშვენებული მიდის მორიგი ყრილობის შესახვედრად. პარტიის XXV ყრილობამ საბჭოთა ლიტერატურის შეფასებაც მოგვცა და ახალი ამოცანებიც განსაზღვრა. ყრილობის მიერ ნაჩვენებ გზაზე ჩვენი მწერლები წელში გამლილნი, შთაგონებულნი, უხვმოსავლიანნი მოდიოდნენ და ტოლს არ უდებდნენ შრომის სხვა სფეროებში ჩაბმულ ადამიანებს. ამის საილუსტრაციო მაგალითი მრავალია.

განვლილ წლებში ამაღლდა მწერლის ავტორიტეტი, მისმა სიტყვამ ახალი ძალა შეიძინა, იგი საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში შეიჭრა, ხალხის ცხოვრების ყოველი მხარე, მწერლის შემოქმედების არა მარტო თემატიკით გამამდიდრებელი, არამედ შთაგონების წყაროც გახდა.

აღნიშნულ გარემოებაზე მიუთითებდა ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე „ლიტერატურნოე ობოზრენიეს" კორესპონდენტთან საუბრისას: „ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მწერლის ცოცხალ სიტყვას, მწერლის აზრს. მწერლის ავტორიტეტი გამორჩეული განძია ნებისმიერი ცივილიზაციისათვის, მით უფრო — ჩვენი, სოციალისტური ცივილიზაციისათვის.

რესპუბლიკის ლიტერატურა და ხელოვნება აქტიურად შეიჭრა ცხოვრების შუაგულში და ახალი თემებით, ხასიათებით, სახეებით, იდეებით გამდიდრებული დღეს უფრო ეფექტიან გავლენას ახდენს ხალხის გულსა და გონებაზე, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაზე".

ეს შეფასება ზუსტად გამოხატავს ბოლო წლების ქართული ლიტერატურის ძირითად და ნიშანდობლივ თვისებებს.

ჩვენი დღეების ქართული ლიტერატურის წარმატებებზე რომ ვლაპარაკობთ, საჭიროა ვთქვათ იმ კეთილმყოფელ გარემოებებზე, რომელთაც ხელი შეუწყვეს სასურველი შედეგების მიღებას. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში უნდა დავასახელოთ პარტიის XXV ყრილობაზე შემუშავებული კურსი, რომელმაც განაპირობა მწერლებისათვის ზედმიწევნით სასურველი სამუშაო ატმოსფეროს, მშვიდი, მეგობრული და მზრუნველი გარემოს შექმნა. ამასთანავე, ყრილობამ დასახა მკაფიოდ გამოკვეთილი მიზნები ყველა საბჭოთა ლიტერატორისათვის, შეგვაიარაღა ისეთი თეორიული დებულებებით, რომლებიც მწერლობას იდეურ-მხატვრული სრულყოფის მისაღწევად შთააგონებს.

ავიღოთ ჯერ კიდევ პარტიის XXIV ყრილობაზე ჩამოყალიბებული მნიშვნელოვანი და სავსებით ახლებურად მჟღერი გეზი, რომელიც პარტიის XXV ყრილობამაც მოიწონა და მიიჩნია ლიტერატურის წარმატებული განვითარების საფუძვლად: „ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ყურადღებით ვეკიდებოდეთ შემოქმედებით ძიებას, რომ უფრო სრულად ვლინდებოდეს ნიჭისა და ტალანტის ინდივიდუალობა, მრავალფეროვანი და მდიდარი იყოს ფორმა და სტილი, რომლებიც შემუშავებულია სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველზე. პარტიული ხელმძღვანელობის ძალაა იმის უნარი, რომ გაიტაცოს ხელოვანი ხალხის სამსახურის კეთილშობილური ამოცანით, გახადოს იგი კომუნისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის მტკიცე და აქტიური მონაწილე".

ეს არის ძალზე ტევადი, მრავლისმთქმელი და თანაც ზუსტად ჩამოყალიბებული პროგრამა, რომლის შესრულებაც საბჭოთა მწერლობის წარმატებათა საწინდარი გახდა.

მემკვიდრეობითობა პარტიის XXIV და XXV ყრილობებს შორის, თანმიმდევრულობა პარტიის სალიტერატურო პოლიტიკაში, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე ამოცანათა დასახვის მეცნიერულად გააზრებული ხასიათი არის ერთ-ერთი თავისებურება, რომელიც ლიტერატურისადმი ხელმძღვანელობაში პარტიას ახასიათებს. და რადგან ეს გეზი პრაქტიკამ გაამართლა, იგი ნაყოფიერი და შედეგიანი აღმოჩნდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამგვარი მიდგომა მომავალშიც გაგრძელდება.

ცენტრალური კომიტეტის მიერ პარტიის XXV ყრილობისათვის წარდგენილ საანგარიშო მოხსენებაში, რომლითაც გამოვიდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, დიდი ადგილი ეთმობოდა ლიტერატურის საკითხებსაც. მასში, ზოგადი დებულებების გვერდით, ყურადღება დაეთმო რიგ კონკრეტულ საკითხებსაც, რაც ლიტერატურისათვის ძალზე საინტერესო და აქტუალურია.

ერთ-ერთი საკითხია თემატიკის საკითხი. ერთი შეხედვით, აქ ყურადღება გამახვილდა თითქოს ოთხ ძირითად თემაზე, მაგრამ მათ იმდენი განშტოებანი აქვთ, რომ მთლიანად მოიცავენ ლიტერატურის შინაარსს.

წინა პლანზე იყო წამოწეული ე. წ. „საწარმოო თემა", რაც ფაქტიურად გულისხმობს მშრომელი კაცის დახატვას ჩვენს ლიტერატურაში. აქ ყურადღება გამახვილდა საწარმოო თემის ასახვისას ახალი ფორმების ძებნისა და მიგნების აუცილებლობაზე. ეს თემა ადრეც იდგა საბჭოთა ლიტერატურის ცენტრალურ თემათა რიგში, მაგრამ ახლა აქცენტი გაკეთდა მხატვრულ ფორმაზე, ე. ი. ლიტერატურისათვის დამახასიათებელ პროფესიულ თავისებურებაზე.

უნდა ითქვას, რომ პარტიის ამ მოწოდებას ქართველი მწერლები მთელი ძალით გამოეხმაურნენ: განვლილი ხუთი წლის მანძილზე ჩვენში ცოტა როდი იწერებოდა ენგურჰესის მშენებლებზე, კახელ მეზვრეებზე, დასავლეთ საქართველოს მეჩაიეებსა და მეციტრუსეებზე, ჩვენს მეცხოველეებზე, მეტალურგებზე, მშენებლებზე — ყველა სფეროში დასაქმებულ მშრომელ ადამიანებზე. იწერება ლექსები, პოემები, მოთხრობები, ნარკვევები და სხვა ჟანრის ნაწარმოებები, ხოლო ფილმს თუშ მეცხვარეებზე ხომ ძალზე დიდი რეზონანსი ჰქონდა. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში გაჩნდა რუბრიკები: „მწერლები ხუთწლედის მხარდამხარ", „მწერალი მივლინებაში" და ა. შ. ანალოგიური სერიებით გამოდიოდა წიგნები ჩვენი გამომცემლობების ბაზაზე. შეიძლება ითქვას, რომ ამ თემამ ჩვენში ფართო ასახვა ჰპოვა.

თუ გასულ საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა „შრომის ახსნის" მოთხოვნა, ხოლო ოქტომბრის რევოლუციამ პრაქტიკულად

# ორ ყრილობას შორის

ტარიელ კვანჭილაშვილი

განახორციელა ეს დიდი ამოცანა, სოციალიზმის პირობებში საბჭოთა ლიტერატურა უკვე „ახსნილი შრომის" მადიდებელი გახდა. ეს ძალზე დიდმნიშვნელოვანი ისტორიული სიმართლეა.

დიდი სამამულო ომის თემის გაშუქებაზე რომ მიუთითებდა, პარტიის XXV ყრილობაზე მოხდენილად ითქვა ამ თემის მნიშვნელობაზე დღეს და მომავალში. აქ ორი მომენტია გამოსაყოფი: ნაწარმოებთა „გმირებთან ერთად ომის მონაწილენი თითქოს კვლავ მიაბიჯებენ საფრონტო გზების ცხელ თოვლში, კვლავ და კვლავ ქედს იხრიან თავიანთი ცოცხალი და დაღუპული თანამებრძოლების სულიერი ძალის წინაშე". ასეთია ამ თემის ასახვის მნიშვნელობა უფროსი თაობის საბჭოთა ადამიანებისათვის. „ახალგაზრდა თაობა კი ხელოვნების სასწაულებრივი მოქმედებით ხდება თავისი ძმების ან იმ სულ ახალგაზრდა გოგონების გმირობის თანამონაწილე, რომლებისთვისაც წუნარი გარიჟრაჟი, სამშობლოს თავისუფლებისათვის მათი უკვდავი გმირობის ჟამი გახდა".

ეს არა მარტო ლამაზად ნათქვამი, არამედ ბრძნულად ნათქვამი სიტყვებია და იგი მკაფიოდ მიუთითებს ჩვენს ლიტერატურაში დიდი სამამულო ომის თემის მნიშვნელობაზე, როგორც უფროსი თაობის ადამიანებისათვის, ასევე ახალგაზრდობისთვისაც.

უნდა ითქვას, რომ ქართულმა ლიტერატურამ ამ თემის გაშუქებაში თავისი სიტყვა თქვა, მარტო კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ამ თემის ხვედრითი წონა ისე დიდია, რომ მისი შეუმჩნევლობა არ შეიძლება. მაგრამ ამ საქმეში ეს მწერალი მარტო არ არის. სულ ბოლო წლებშიც კი ეს თემა კვლავ იპყრობდა ქართველი მწერლების ყურადღებას. ამით ერთგვარად გაგრძელდა მშვენიერი ტრადიცია, რომელსაც თვით ომის წლებში საფუძველი ჩაუყარეს გ. ტაბიძემ, გ. ლეონიძემ, ი. გრიშაშვილმა, ს. ჩიქოვანმა, ა. მირცხულავამ, ი. აბაშიძემ, გ. აბაშიძემ, ლ. ქიაჩელმა, დ. შენგელაიამ, ი. მოსაშვილმა და მრავალმა სხვამ, რომელთაგან ზოგი მაშინ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედი იყო.

თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თემად პარტიის XXV ყრილობამ მიიჩნია მორალის, ზნეობის თემა. იგი იყო და არის მსოფლიოს მოწინავე მწერლების მუდმივი თემა. ყველა დიდი მწერალი თავის შემოქმედებაში ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა ადამიანის სულის სიღრმეების, მისი მორალური და ზნეობრივი სამყაროს ძიებას. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ცნობილი აზრის მიხედვით ლიტერატურა ხომ გამოცხადებულია ადამიანთმცოდნეობად, ადამიანის სულიერი სამყაროს შეცნობისა და მისი ამაღლების საშუალებად. პარტიამ გვითხრა, რომ ამ თემის ასახვით მწერალმა ხელი უნდა შეუწყოს ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბების რთულ, მაგრამ საპატიო და მნიშვნელოვან საქმეს.

განვლილი წლები სწორედ იმას ადასტურებს, რომ ქართველმა მწერლებმა ყურადღების ცენტრი სწორედ ადამიანის ზნეობრივი ძიებისაკენ გადაიტანეს. რესპუბლიკაში მომხდარმა დიდმა ძვრებმა, რასაც სათავეში უდგას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რაც მიზნად ისახავს ადრე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, მორალური კლიმატის გაჯანსაღებას, ქართველი მწერლების საუკეთესო ძალები დარაზმა ამ პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის.

სწორედ ბოლო წლებში შეიქმნა და გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ისეთი ნიმუშები, რომლებშიც ზნეობრივ ძიებებს მთავარი ადგილი უკავია. ეს ნაწარმოებები ქმნიან ახალ ეპოქას ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზაზე. გრიგოლ აბაშიძის რომანი ცოტნე დადიანზე, ნოდარ დუმბაძის მრავალი ნაწარმოები და განსაკუთრებით კი ლენინური პრემიით აღნიშნული „მარადისობის კანონი", ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან", ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია", გურამ ფანჯიკიძის რომანები, მათ შორის ბოლო დროს დაწერილი „აქტიური მზის წელიწადი". ოთარ ჩხეიძის რომანები, გიორგი ციციშვილის „ხძლიე ხიხარბესა შენსა", რევაზ ინანიშვილის ნატიფი და თბილი მოთხრობები, არჩილ სულაკაურის, თამაზ ჭილაძის, რევაზ ჯაფარიძის, თამაზ ბიბილურის პროზაული ნაწარმოებები, ახალგაზრდა მწერლების მოთხრობები და ნოველები, პოეტების — ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, ხ. ბერულავას, მ. მაჭავარიანის, ა. კალანდაძის, მ. ლებანიძის, შ. ნიშნიანიძის, ვ. ჯავახაძის, ჯ. ჩარკვიანის, ტ. ჭანტურიას, გ. გეგეჭკორის, ბ. ხარანაულის, რ. ამაშუკელის, ზ. ბოლქვაძის, ნ. კილასონიას, მ. კახიძის, ი. ორჯონიკიძის, საშუალო თაობისა თუ ახალგაზრდა პოეტების პოეტური კრებულები და ცალკეული ნაწარმოებები სწორედ ზნეობრივი ძიებებით გამოირჩევიან. სხვადასხვა ძალითა და ენერგიით, სხვადასხვა კუთხითა და წახნაგით ჩვენი მწერლობა აშუქებს რა ჩვენი დროის ადამიანის ზნეობას, ებრძვის ყოველგვარ ნეგატიურ მოვლენას, მომხვეჭელობა იქნება თუ მექრთამეობა, ძარცვა თუ თაღლითობა... ჩვენი მწერლები დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ მათ და ამით იბრძვიან მაღალი, სპეტაკი ზნეობის დამკვიდრებისათვის. ეს დიდი საქმეა და ეპოქის მოთხოვნილებებს, ჩვენი წინსვლის ამოცანებს სავსებით უპასუხებს.

პარტიას ჩვენი მწერლობის ერთ-ერთ დამსახურებად ის მიაჩნია, რომ: „ისინი ცდილობენ მხარი დაუჭირონ ადამიანის საუკეთესო თვისებებს, მის პრინციპულობას, პატიოსნებას, გრძნობების სიღრმეს და, ამასთან, ხელმძღვანელობენ ჩვენი კომუნისტური ზნეობის ურყევი პრინციპებით".

XXV ყრილობამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან თემაზე გაამახვილა საბჭოთა მწერლების ყურადღება: „ჩვენი ხელოვნების ოსტატებისათვის, მწერლებისათვის, პოეტებისათვის შთაგონების წყაროა ისეთი დიდმნიშვნელოვანი, კეთილშობილური თემაც, როგორიცაა მშვიდობისათვის, ხალხთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობა ამ ბრძოლაში".

არავინ იფიქროს, თითქოს დასახელებულ დოკუმენტში მხოლოდ თემატიკაზე გვქონდეს მინიშნება. აქ განსაზღვრულია ლიტერატურის ქმნილებათა შეფასების კრიტერიუმები, როცა ითქვა, რომ „ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობის მთავარი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად მისი იდეური მიმართულებაა".

ყრილობაზე მოწონებულ იქნა მწერალთა მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან — დიდ მშენებლობებზე, საწარმოებსა და მეურნეობებში მათი ხანგრძლივი მივლინებები, მათზე შეფობა. იქ მომუშავე ადამიანების ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლა და მხატვრული ჩვენება.

ძალზე მნიშვნელოვანია XXV ყრილობის ტრიბუნიდან წარმოთქმული აზრი, რომ ნიჭიერი ნაწარმოები ეროვნული სიმდიდრეა, რომ მას მოფრთხილება, მზრუნველი მოპყრობა და დაფასება უნდა. როცა პარტია მოგვიწოდებს — ვაფასებდეთ ნიჭს, ეს ბევრს ნიშნავს. ჩვენი სახელოვანი წინაპარი გვეუბნებოდა—„მიეცი ნიჭსა გზა ფართო". მაგრამ ამის მიუხედავად, თვით ნიკო ფიროსმანაშვილიც კი მიუსაფარი და ეული დარჩა, მას სიღატაკესა და შიმშილში ამოხდა სული... დღეს კი პარტია ნიჭის დაფასებას რომ მოითხოვს, პრაქტიკულადაც ქმნის სასურველ პირობებს, ყოველნაირად ზრუნავს და ხელს უწყობს ნიჭს.

ბუნებრივია, რომ პარტიის ზრუნვას ჩვენი მწერლები და ხელოვნების მუშაკები უპასუხებენ შთაგონებული შემოქმედებითი შრომით. ეს ცნობილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ მისი განმეორებით აღნიშვნა ზედმეტი არ უნდა იყოს.

თანამედროვე ქართული მწერლობა, რომელიც დამსახურებულად ატარებს დიდი და მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი მოწინავე მწერლობის მაღალ სახელს, განვლილი წლების განმავლობაში ნიჭსა და ენერგიას არ ზოგავდა მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად. ამ საპატიო და კეთილშობილურ საქმეში მას დიდად უწყობდა ხელს ის სასიკეთო ატმოსფერო, რომელიც შექმნა სკკპ XXV ყრილობაზე შემუშავებულმა კურსმა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ჩამოყალიბებულმა პრინციპებმა ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროში, საერთოდ საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროში.

ამიტომ იყო, რომ მწერალთა მუშაობისათვის შექმნილ საუკეთესო პირობებს როცა ეხებოდა, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ თქვა: „ჯერ კიდევ ძველად ბერძნებმა იცოდნენ, რომ კარგი ამინდის დროს ფრთებს მეტი ძალა აქვს მაღლა ასაფრენად. ჩვენს რესპუბლიკაში დღეს სწორედ ისეთი ამინდია, რომელიც ყველა ნამდვილი შემოქმედის ფრთებს ძალასა და მხნეობას მატებს უფრო მაღლა, უფრო ლამაზად ფრენისათვის..."

საქართველოს კომპარტიის ზრუნვა და ღვაწლი ჩვენს რესპუბლიკაში ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის, მისი ყოველდღიური მეცადინეობა და ხელშეწყობა ლიტერატურის განსავითარებლად, იმდენად ხელშესახებია, რომ იგი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც გახდა შესამჩნევი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ასეთი ფაქტი. გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას" კორესპონდენტმა ამხანაგ ე. ა. შევარდნაძეს ხუთი შეკითხვა დაუსვა:—„პატივცემულო ედუარდ, თქვენ ხშირად ხვდებით ხოლმე მწერლებს, კულტურის მოღვაწეებს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ ხელოვნებას, მხატვრულ ლიტერატურას უკავშირებთ გარკვეულ იმედებს ცხოვრების წესის სრულყოფაში წარმატების მისაღწევად?"—

ამ შეკითხვიდანაც კი აშკარად ჩანს, რომ საკავშირო გაზეთის კორესპონდენტისათვის ცნობილია საქართველოს კომპარტიის, მისი ხელმძღვანელის დიდი დაინტერესება ლიტერატურითა და ხელოვნებით. მაგრამ თვით პასუხს მოვუსმინოთ:

„— დიახაც რომ [illegible] დიდ იმედებს ვუკავშირებ. [illegible] მეტიც, კერძომესაკუთრული ტენდენციების, უზნეობის წინააღმდეგ პროტესტი, იდეალების სიწმინდისათვის, სოციალისტური ცხოვრების წესისათვის უანგარო მებრძოლთა სახეები, ქართულ ლიტერატურასა და კინოში გაცილებით უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე დადგებოდა ათას ცხრაას სამოცდათორმეტი წელი, წელი, როცა დაიწყო სწორედ, არსებითად ჩვენში მიზანმიმართული მორალურ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. კიდევ უფრო სწორი იქნებოდა, ვეთქვა: მწერლებს, მათგან საუკეთესოებს, რა თქმა უნდა, არასდროს არ უღალატიათ იმ მაღალი იდეალებისათვის, რომლებიც მუდამ იყო ლიტერატურაში, ერის კულტურაში. ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ ბრძენა სულმნათმა რუსთაველმა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია..."

ეს სიტყვები, ეს განწყობილება საქართველოს კომპარტიამ ამ ბოლო წლებში არა ერთი და ორი საქმიანი ნაბიჯით დაამტკიცა და ბევრი გააკეთა ჩვენი ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების, საერთოდ კულტურის ამაღლებისათვის. მივმართოთ ზოგიერთ ფაქტს. გარდა იმისა, რომ ბოლო წლებში შეიქმნა ალმანახები „კრიტიკა", „განთიადი", „საუნჯე", სულ ახლახანს რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მოცულობის გაორკეცება. ეს კი ფაქტიურად ნიშნავს ერთი იმხელა გაზეთის დაარსებას, რაც მრავალი ათწლეულის მანძილზე იყო „ლიტერატურული საქართველო". შეუძლებელია არ ვაფასებდეთ ამ ფაქტს, რომელიც პარტიის სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე მიუთითებს და რომელიც დიდად შეუწყობს ხელს ქართული ლიტერატურის შემდგომ ამაღლებას.

რესპუბლიკაში ბევრი გაკეთდა და კეთდება წიგნის გამოცემის გასაუმჯობესებლად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ გამსახკომის მუშაობის შესახებ". დაისახა საგამომცემლო საქმის გაუმჯობესების მრავალი ღონისძიება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში წიგნის გამოცემის საქმე ჩვენს რესპუბლიკაში კიდევ უფრო გაუმჯობესდება და ამით ქართული მხატვრული ლიტერატურის შემდგომი ამაღლებისათვის უფრო უკეთესი პირობები შეიქმნება.

„ენა მწერლის ბალავარია", ენის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია ნებისმიერი ეროვნული ლიტერატურის განვითარება. ამ მეცნიერულად დასაბუთებული აზრის ცხოვრებაში გატარებისა და ხორცშესხმისათვის ბოლო წლების საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ ბოლო წლებში მიღებული გადაწყვეტილებებით დიდად იზრუნა სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, პრესაში, ტელევიზიაში, რადიოში ქართული ენის სიწმინდის დასაცავად, უნიფიცირებული ტერმინების დასადგენად და ა. შ.

სწორედ ბოლო წლებში შეიქმნა მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია, რომელმაც ინტენსიური მუშაობა გაშალა და ამის შედეგად, ერთი მხრივ, ქართული ლიტერატურის საუკეთესო მიღწევები ცნობილი ხდება საბჭოთა კავშირისა და მსოფლიოს ხალხებისათვის, მეორე მხრივ, კიდევ უფრო გაიშალა უცხოეთისა და მოძმე ერების მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის საქმე. ასეთი ვითარება არა მარტო ამდიდრებს ქართველი მკითხველის ცნობიერებას, არამედ ხელსაც უწყობს მათში ინტერნაციონალიზმის გაღვივებას, რაც ასე აუცილებელია კაცობრიობის წინსვლისათვის.

აქ აღნიშნული ღონისძიებები, რომელიც მხოლოდ ნაწილია, უდავოდ ხელს უწყობდა ქართული ლიტერატურის განვითარებას, ისინი მომავალშიც დიდ როლს შეასრულებენ.

ჩვენი თანამედროვე ლიტერატურის კეთილშობილურ მისიაში შემავალ საკითხებს შორის დიდი ყურადღება ექცეოდა ლიტერატურის მეშვეობით მასების პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას. საბჭოთა საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურება, ცხადია, ლიტერატურაშიც გადმოინაცვლებს. ამიტომ პარტია ცდას არ აკლებდა ამ სულისკვეთებით ჯერ თვითონ მწერლების იდეურ თეორიულ შეიარაღებას, რაც მათი ნაწარმოებების გზით მასებსაც გადაეცემოდა. ამ მიზნით საქართველოში ბევრი გაკეთდა, მაგრამ ერთი რამ მაინც გამორჩეულად უნდა აღინიშნოს. ეს არის 1978 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარებული საბჭოთა ლიტერატურის დღეები, რაც ძალზე მასშტაბური იყო. დამახასიათებელია ამ „დღეების" დევიზი: „მაღლა გვეჭიროს ხალხთა ლენინური მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დროშა".

განვლილ პერიოდში გამოქვეყნდა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგია „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი". რომლებმაც საბჭოთა ხალხი, მწერლობა, პარტია გაამდიდრეს არა მარტო საბჭოთა კავშირის ისტორიაში მომხდარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენების ახლებური და ღრმა გაგებით, არამედ მოგვხიბლეს კიდეც ასახვის ფორმის სისადავით. ცნობილია, რომ ტრილოგიის ავტორს ლენინური პრემია მიენიჭა. სწორედ ამ პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა განავითარა მწერლებისთვის მეტად საინტერესო რამდენიმე დებულება, რომელთა გათვალისწინება დიდად სასარგებლოა ყველა ლიტერატორისათვის. დავიმოწმებთ ზოგ მათგანს:

„...ჩემს ჩანაწერებზე მუშაობისას ვფიქრობდი არა საკუთარ თავზე და, უნდა ითქვას, არა იმდენად წარსულზე, რამდენადაც იმაზე, თუ რით გამოადგება დღეს წარსულის გამოცდილება ადამიანებს". აქ ყველა მწერალი დაინახავს გასაღებს, თუ რა კუთხით და რა მიზნით უნდა აშუქებდეს იგი წარსულს, როგორ უნდა აყენებდეს ისტორიის ფურცლებს თანამედროვეობის სამსახურში.

არანაკლებ საინტერესოა მეორე რჩევაც, რომელიც სტილს ეხება: „...წესად უნდა გავიხადოთ, ადამიანებს ველაპარაკოთ უბრალოდ, გასაგები ენით, გულახდილად და საქმიანად. დროა ხელი ავიღოთ ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებზე, კაზიონურობასა და მექანიკურ გადამღერებაზე. უნდა შევეჩვიოთ ისე წერას, რომ თითოეულ ფრაზაში ვაქსოვდეთ საკუთარ ცოცხალ აზრს, საკუთარ გრძნობებს". ვფიქრობთ, აქ ყველაფერი ძალზე ნათელია. მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ეს სასარგებლო რჩევაა ყველასათვის, ვინც ხელში კალამს იღებს.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე მთელ საბჭოთა კავშირში და, მაშასადამე, საქართველოშიც, მწერალთა მოღვაწეობისათვის საუკეთესო პირობები იყო შექმნილი. მწერლის შრომა და სახელი უჩვეულო ძალით დაფასდა. ამის საილუსტრაციოდ თუნდაც რამდენიმე ფაქტის მოხმობაც კმარა. ზეიმით აღინიშნა „დედა ენის" დაწერის 100 წლისთავი, „შუშანიკის წამების" შექმნის 1500 წლისთავი, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დაბადებიდან 140 წლისთავი, დავით გურამიშვილის დაბადების 275 წლისთავი, ლ. ტოლსტოისა და ჩერნიშევსკის დაბადების 150 წლისთავი... ტრადიციად იქცა ყოველწლიურად პუშკინისა და მაიაკოვსკის დღეების ჩატარება და მრავალი სხვა ღონისძიება...

სწორედ ორ ყრილობას შორის მოხდა აგრეთვე ქართული საბჭოთა ლიტერატურის აღიარების გამომხატველი რამდენიმე სასიამოვნო ფაქტი: ჯერ გრიგოლ აბაშიძეს, შემდეგ კი ირაკლი აბაშიძეს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. ამას მოჰყვა ნოდარ დუმბაძისათვის ლენინური პრემიის მინიჭება, რამდენიმე ქართველ მწერალსა და ხელოვნების მუშაკს მიენიჭათ საქართველოს სახელმწიფო პრემია, რომელიც დიდი შოთა რუსთაველის სახელს ატარებს.

ორ ყრილობას შორის განვლილი წლების მანძილზე ქართველი მწერლების შემოქმედებითი მუშაობის მთავარ დამახასიათებელ თვისებად, და თუ გნებავთ, დევიზადაც შეიძლება მივიჩნიოთ შოთა ნიშნიანიძის პოეტურ სტრიქონებში გამოთქმული აზრი: „წინ! იერიშზე გაიყოლიე, რაც დაგიმშვენებს სინდისს, დღევანდელობა და ისტორია, სინამდვილე და მითი. მიდი, მიუჯექ საწერ მაგიდას, ფრთები შეასხი სურვილს, გამოიტანე ბარიკადიდან რევოლუციის სული. რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც და მსახური ხარ რახან, საწერ მაგიდას კი არ უზიხარ, ბარიკადაზე დგახარ!"

მშვიდობისათვის ბრძოლის, შრომის, ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლის ბარიკადებზე მდგარი ქართველი მწერლები თავიანთ ძალასა და ნიჭს არ ზოგავენ იმისათვის, რათა უფრო უკეთესად და წარმატებულად ემსახურონ მშობელ ხალხს, ქვეყანას, პარტიის კეთილშობილურ იდეალებს.

გაწეულმა შრომამ დიდი ნაყოფიც გამოიღო. ქართული ლიტერატურა დღეს დამსახურებული სახელითა და პატივით სარგებლობს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში და მრავალეროვნულ საბჭოთა კავშირში, არამედ დიდი რეზონანსი აქვს მსოფლიოს მასშტაბითაც. ამაზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძე „ლიტერატურნოე ობოზრენიეს" კორესპონდენტთან საუბარში ამბობდა: „თანამედროვე ქართული ლიტერატურის ნაწარმოებთა ფართო ინტერნაციონალურ რეზონანსსა და პოპულარობაზე მეტყველებს, კერძოდ, 1978 წლის რამდენიმე ფაქტი. ამ წელს გერმანულ ენაზე გამოიცა გრ. აბაშიძის „დიდი ღამე", შვეიცარიასა და დანიაში — ჭ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია". მალე გამოქვეყნდება ამ წიგნის თარგმანები ფინურ, პოლონურ, უნგრულ, ბულგარულ, იაპონურ, ინგლისურ ენებზე, ნ. დუმბაძის რომანები და მოთხრობები დაიბეჭდა გერმანულ, უნგრულ, ჩეხურ, პოლონურ, ესპანურ და სხვა ენებზე. მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე გამოდის კ. ლორთქიფანიძის, რ. ინანიშვილის, ო. იოსელიანის, გ. ფანჯიკიძის, ა. სულაკაურის, თ. ჭილაძის, ო. ჭილაძის და სხვათა პროზაული ნაწარმოებები, ი. აბაშიძის, ა. კალანდაძის, მ. მაჭავარიანის, ი. ნონეშვილის, რ. მარგიანის, ხ. ბერულავას, მ. ლებანიძის, მ. ფოცხიშვილის, ჯ. ჩარკვიანის პოეტური კრებულები, ქართული პოეზიისა და ხალხური სიტყვიერების ანთოლოგიები და ა. შ. და ყველაფერი ეს გაკეთდა ან დაიწყო მარტო განვლილ ერთ წელიწადში! აღარას ვამბობ რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე გამოცემულ თარგმანებზე — მათი აღნუსხვაც კი ძნელია!"

მარტო აქ დასახელებულიც კმარა იმისათვის, რომ ჯეროვნად შევაფასოთ თანამედროვე ქართული ლიტერატურის სიღრმე და სიმაღლე, მისი საყოველთაოდ აღიარებული წარმატებები.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ჩვენი ლიტერატურის განვითარებისათვის შექმნილმა საუკეთესო პირობებმა, კეთილმა ატმოსფერომ, მწერლობისადმი მზრუნველმა დამოკიდებულებამ განაპირობა თანამედროვე ქართული ლიტერატურის ხელშესახები წარმატებები. ქართული ლიტერატურა პარტიის მომავალ ყრილობას ეგებება საუკეთესო შედეგებით და დიდი იმედით გასცქერის მომავალს, რომელიც კიდევ უფრო უკეთესს გვპირდება.

## პუბლიცისტის ჩანაწერები

# „პორტუგალიური დღიურები"

ვლადიმერ მაჭავარიანი

ახლახან ქართველმა მკითხველმა მრავალმხრივ საინტერესო წიგნი მიიღო. მხედველობაში გვაქვს ვლადიმერ ალფენიძის „პორტუგალიური დღიურები".

ვლადიმერ ალფენიძე საქართველოში, მის გარეთაც უკვე კარგად ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, ჟურნალისტია, მრავალი წიგნის, სტატიის, ესეს ავტორია.

მისი წიგნები, ნარკვევები, სტატიები ინტერესით იკითხება. მწერალი ჭეშმარიტად ღრმად, ყოველმხრივ იცნობს იმ მასალას, რაზედაც წერს.

ამჯერად ვლადიმერ ალფენიძე პორტუგალიაში მოგზაურობის პერიპეტიებს მოგვითხრობს. ის თან ახლდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაციას, რომელიც პორტუგალიელ კომუნისტთა ყრილობაზე მიავლინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით.

ვლადიმერ ალფენიძის ამ წიგნმა გამოსვლისთანავე მიიპყრო ჩვენი მკითხველის ყურადღება.

„პორტუგალიური დღიურები" გვაცნობს ამ შორეული ქვეყნის წარსულს და აწმყოს. ვლადიმერ ალფენიძე წიგნის წინათქმაში შენიშნავს: „ეს წიგნი მოგვითხრობს პორტუგალიის კომუნისტური პარტიის IX ყრილობაზე, სკკ პარტიის დელეგაციის მონაწილეობაზე მის მუშაობაში, პორტუგალიელ ხალხზე, პორტუგალიის 1974 წლის 25 აპრილის რევოლუციაზე, პორტუგალიელ კომუნისტებსა და მათ ლიდერებზე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ურღვევ სოლიდარობაზე, ძმობაზე, მეგობრობაზე".

ეს წიგნი ძირითადად სკკპ დელეგაციის თანხმლები პირის პირად შთაბეჭდილებებზეა აგებული, ქართველი მწერლისა და ჟურნალისტის დღიურებია.

წიგნის ავტორი დიდ მადლობას უხდის სსრ კავშირის საელჩოს პორტუგალიის რესპუბლიკაში, პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ ორგანოს „ავანტეს" რედაქციას, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს, საკდესის თანამშრომლებს ამ წიგნზე მუშაობის დროს ხელის შეწყობისათვის.

წიგნი ოცდახუთი თავისაგან შედგება, მის ფურცლებზე ნათლად მოჩანს ის დაძაბული მუშაობა, რომელსაც ყრილობის დღეებში ეწეოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია. ადვილი როდია უცხო ქვეყნის რთული, დახლართული ცხოვრების ჩვეულებში არ შეცდე, არ დაიბნე, მით უმეტეს იმ მომენტში, როდესაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ხარ.

წიგნში ავტორმა დიდი ადგილი დაუთმო პორტუგალიელ კომუნისტებს, მათი ბელადის — ალვარო კუნიალის მოღვაწეობას.

ეს ერთი შეხედვით უბრალო, სიმპათიური, კეთილი გამომეტყველების ადამიანი, მართლაც საკვირველი ენერგიისა და თავდადების პიროვნებაა. მახსენდება ერთი შტრიხი მისი ბიოგრაფიიდან: ალვარო კუნიალი დაატუსაღეს და ლისაბონის ციხის ჯურღმულში ჩასვეს. მისი საკანი წყალქვეშ იმყოფებოდა. პორტუგალიელი პოლიციელები ღრმად იყვნენ დარწმუნებული, რომ ახლა კუნიალი ველარ გაექცეოდათ. კუნიალი კი გაქცევის გზებს ეძებდა. მას არალეგალურად ორი ქლიბი გადასცეს. დიდხანს იმუშავა, ერთ თვეზე მეტს, ხვრელში გაძვრა და გასცურა. თავის დროზე კუნიალის გაქცევამ მსოფლიოში სენსაცია გამოიწვია. ასე იყო თუ ისე, რამდენიმე კვირის შემდეგ ალვარო კუნიალი უკვე მოსკოვში იყო და მოსკოვის ახლოს მდებარე დასასვენებელ პანსიონატში პორტუგალიიდან მიღებულ მასალას ეცნობოდა, წერდა... კუნიალმა არცთუ დიდხანს დაჰყო მოსკოვში, არალეგალურად დაბრუნდა პორტუგალიაში და განაგრძო თავდადებული ბრძოლა.

პორტუგალიაში, ქალაქ ბრეიროში, 60-ათასიან მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ამბობდა:

„სანამ არიან ისეთი ადამიანები, როგორიცაა ამხანაგი ალვარო კუნიალი, სანამ არიან ისეთი პარტიები, როგორიცაა პორტუგალიის კომუნისტური პარტია, მშვიდობისა და პროგრესის საქმე, სოციალიზმის საქმე, სოციალიზმი უძლეველი იქნება".

ვლადიმერ ალფენიძე თავის წიგნში ნათლად წარმოგვიჩენს პორტუგალიელ კომუნისტთა ბრძოლას მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. აღადგენს მათი ყრილობის მგზნებარე, შთამბეჭდავ სურათს, გვაძლევს მოვლენათა ღრმა, პოლიტიკურ და მხატვრულ ანალიზს.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე ამბობდა:

„პორტუგალიის რევოლუციამ ბოლო მოუღო ჩვენი დროის ერთ-ერთ უკანასკნელ ფაშისტურ რეჟიმს, მის შედეგად მოისპო უკანასკნელი კოლონიური იმპერია. კვლავ მთელი ძალით დადასტურდა: რევოლუცია სოციალური განახლების მძლავრი ბერკეტია, იგი ათავისუფლებს ხალხის უდიდეს ძალებს.

პორტუგალიელი ხალხი მხარს უჭერს ამ ქვეყანაში დემოკრატიული განვითარების მყარი საფუძვლების შექმნას, სოციალურ პროგრესს.

პორტუგალიელ ხალხს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხს, უფლება აქვს იმ გზას დაადგეს, რომელსაც თვითონ განსაზღვრავს.

ნება მიბოძეთ ამ ტრიბუნიდან საბჭოთა კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის მხურვალე სოლიდარობა გამოვუცხადო პორტუგალიის რევოლუციურ ხალხს, მის კომუნისტებს, ყველა დემოკრატს".

ვლადიმერ ალფენიძის წიგნი დიდად დაეხმარება დაინტერესებულ მკითხველს უფრო ღრმად ჩასწვდეს პორტუგალიის რევოლუციას, მის მოღვაწეებს, გაეცნოს რიგით კომუნისტებს, რომელთა მოღვაწეობას ასე აფასებენ ჩვენს ქვეყანაში; ნათლად აღადგინოს ის დიდი საქმიანობა, რასაც პორტუგალიელ კომუნისტთა ყრილობაზე ეწეოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დელეგაცია და დელეგაციის ხელმძღვანელი.

## ლიტერატურული ცხოვრება

# კულტურა, ადამიანი, საზოგადოება

საერთაშორისო შეხვედრა სოფიაში

[illegible] ...დოების განვითარებაში" — კვლავ მიიზიდა სოფიაში ყველა კონტინენტის წარმომადგენლები.

არსებითად ეს იყო წარმომადგენლობითი საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც შეეხო კულტურის განვითარების სხვადასხვა ასპექტს. სოფიაში ჩამოვიდა 70-მდე ქვეყნის დელეგაციები, რომელთაც მეტწილად კულტურის მინისტრები ან მათი მოადგილეები მეთაურობდნენ. საუბარში მონაწილეობდა 180 ადამიანი — ხელმძღვანელები, შემოქმედნი და მკვლევარნი კულტურისა; ამან განაპირობა აზრთა გაცვლა-გამოცვლა კულტურის წარმართვის, მხატვრული შემოქმედების ხასიათის, კულტურული პროცესების მეცნიერული გააზრების საკითხების ირგვლივაც. საბჭოთა დელეგაციის წევრთა შორის იყვნენ აზერბაიჯანის სსრ კულტურის მინისტრი ზ. ბაგიროვი, მოსკოვის კონსერვატორიის რექტორი ბ. კულიკოვი, ხელოვნებისმცოდნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი მ. კოტოვსკაია, კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ტ. კუდრინა, აკადემიკოსი ნ. დუბინინი, პროფესორი ა. ზისი...

მრავალი თემა განიხილეს კონფერენციაზე, და ყველა თემა განიხილებოდა იმ ასპექტით, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია კულტურას კაცობრიობის ბედ-იღბლის გამო. შეხვედრის მონაწილენი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო კულტურულ თანამშრომლობას — არა მხოლოდ როგორც მსოფლიო კულტურის გამდიდრების საშუალებას, არამედ აგრეთვე როგორც დაძაბულობის შენელების, ხალხთა შორის ურთიერთგაგების მიღწევის იარაღს.

„არასოდეს ასე აუცილებელი არ ყოფილა კულტურის მოღვაწეთა გაერთიანება მშვიდობის შესანარჩუნებლად", — თქვა ურბანუ როდრიგეშმა, პორტუგალელ მწერალთა ასოციაციის თავმჯდომარემ. „ხალხთა შორის ურთიერთგაგება

[illegible] დაფუძნებულია ხალხთა მიერ ერთმანეთის კულტურათა გაცნობაზე", — აღნიშნა შეილა კაულმა, ინდოეთის განათლების სახელმწიფო მინისტრმა.

შეხვედრის გახსნაზე მოხსენებით გამოვიდა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ლიუდმილა ჟივკოვა, რომელმაც განსაკუთრებით გაუსვა ხაზი კულტურის მაღალ ჰუმანისტურ მისიას.

შეხვედრაზე ფართოდ იქნა წარმოჩენილი სოციალისტური ქვეყნების მიღწევები კულტურის მშენებლობის საქმეში, ეროვნულ კულტურათა განვითარების საბჭოური გამოცდილება, ხალხის ესთეტიკური აღზრდის კომპლექსური პროგრამის განხორციელება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

უპასუხა რა „ლიტერატურნაია გაზეტას" შეკითხვას პრეს-კონფერენციაზე, ლ. ჟივკოვამ ხაზი გაუსვა ბულგარული ლიტერატურის, მწერლობის დიდად მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი შეგნების ფორმირების, მაღალი მიზნებისა და იდეალების განმტკიცების საქმეში.

აფრიკისა და აზიის დელეგატთა ნაირფერი ეროვნული ტანსაცმლის გვერდით ნახავდით მკაცრ ევროპულ კოსტუმებს, რაც თითქოს თვალსაჩინო დემონსტრირება იყო შეხვედრის გეოგრაფიისა. იმ ხალხებისათვის, ვინც თავი დააღწია კოლონიალიზმს და რეაქციონური რეჟიმის ტირანიას, კულტურის განვითარება ხდება უპირველესი ამოცანა. ბევრი დელეგატისათვის ამ გაჩახჩახებულ დარბაზში მოსვლა არცთუ იოლი და უბრალო რამ იყო. „მოხარულნი ვართ, რომ ვმონაწილეობთ კულტურის როლის შესახებ საუბარში, — თქვა ნიკარაგუას კულტურის მინისტრმა ერნესტო კარდენალმა. — მაგრამ

[illegible] სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და კულტურის კომიტეტის მიმართ, რომლებმაც რთულ თანამედროვე პირობებში მოაწყვეს ასე აუცილებელი საუბარი ადამიანისა და საზოგადოების განვითარებაში კულტურის როლის შესახებ. საერთაშორისო კულტურული ურთიერთობისადმი ყურადღების კიდევ ერთ დადასტურებად იქცა შეხვედრის მონაწილეთა მიღება ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტოდორ ჟივკოვის მიერ. ეს მიღება მოხდა 1980 წლის მიწურულს, 1981 წელი კი ღირსშესანიშნავი წელია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის — ესაა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის XII ყრილობისა და ბულგარეთის სახელმწიფოს დაარსების 1300 წლისთავის წელიწადი.

...სოფიაში გამართული ამ შეხვედრის დღეებში გაგახსენდებოდათ გიორგი დიმიტროვის სიტყვები, რომლითაც მან მიმართა 1935 წელს კულტურის დაცვის კონგრესის მონაწილე მწერლებს: „ვუსურვებ აქ შეკრებილებს... წარმატებებს კულტურისათვის ბრძოლაში, კაპიტალისტური გადაგვარებისა და ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ ბრძოლაში, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში". ეს ამოცანები დღესაც დგას კულტურის მოღვაწეთა წინაშე. კულტურა მხოლოდ მაშინ შესძლებს შეასრულოს თავისი პროგრესული როლი ადამიანისა და საზოგადოების სრულყოფის საქმეში, თუ იხელმძღვანელებს ჰუმანიზმისა და სოციალური სამართლიანობის იდეებით, თუ დაადგება მშვიდობიანი განვითარებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გზას. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა სოფიაში ჩატარებულმა შეხვედრამ.

ვ. ბონჩ-ბრუევიჩი.

(„ლგ", № 51, 1980).

# კონკურსში გამარჯვებულნი

საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველომ და რესპუბლიკის ნებაყოფლობითმა სახანძრო საზოგადოებამ მოაწყვეს კონკურსი სახანძრო დაცვის მუშაკთა შრომაზე, ცეცხლთან ბრძოლის საგმირო თემაზე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებებზე.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო 30 ნაწარმოები.

ამ დღეებში ჟიურიმ, რომელშიც სახანძრო დაცვის მუშაკებთან ერთად შედიოდნენ ცნობილი ქართველი მწერლებიც, შეაჯამა კონკურსის შედეგები.

პირველი პრემია არავის არ მიენიჭა.

მეორე პრემია (700 მან.) მიენიჭა ბალათერ არაბულს ლექსების ციკლისათვის „ცეცხლი".

მესამე პრემია (500 მან.) მიენიჭა ვახტანგ გოგოლაშვილს პოემისათვის „ხანძარი ტყეში".

ორი წამახალისებელი პრემია (200-200 მანეთი): ილია მთვარელაშვილს მოთხრობისათვის — „მეხანძრე გახლავარ, ბატონო", თინა სულიაშვილს ნარკვევისათვის—„შებრძოლება ცეცხლთან".

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლადო სულაბერიძე

# ჩიტი

ნიგნიდან: „შემოდგომა".

1. ჩიტი სულია აღმაფრენის
   ქალღმერთისა, შვილი ნეტარი.
ქვეყნად ბევრია თხრილ-თხრულები
   ოფლსანრეტი, სისხლსანრეტალი.
ჩიტი ზე-ზე-ზე გვეზიდება,
   ის სულია ზე აღტაცების.
ვაპურებ ჩემი სიყვარულის
   ლაჟვარდოვან ყანის მარცვლებით.
ჩემი სამეფოს ზეცას მაღალს
   შესევია შენი ჩიტები.
მაგა ფრთებზედა მაგა ჩიტთა
   მოფარფატე ფრთებს ვეჭიდები.

2. ჩიტის გულიო, ესე იგი,
   გულიაო მცირე, ნაზიო.
მცირე და ნაზი იყოს, ოღონდ
   ამაფრინოს და შემარხიოს.
გულიც მცირე და ფრთაც მცირე აქვს, —
   ოკეანეს კი გადაუფრენს.
მე ყურს მივუგდებ თქვენს საუბრებს,
   შენს და შენთა ჩიტთა საუბრებს.
ძგერდეს და ძგერდეს მცირე გული
   და აპობდეს ზღვათა ქარიშხლებს.
გაფრინდით, სულე, გასაფრენად
   ნამიზიდეთ, ნამახალისეთ.

3. ჩიტის რძე ვპოვე... ლეგენდარულ
   ჩიტის რძეში მზე იშრიტება.
გალობის ძუძუ სარძევლა
   დამაწურეს გუშინ ჩიტებმა,
შენთვის სამღერალ ჰანგის ჯამით,
   ჰა, ეგ წვენიც მომირთმევია.
ჩიტის რძით ნაზარდ ყვავილებით
   ეს კარიბჭე მომირთე ლია.
ამ მზეჩაშრეტილ წვენს ვასხურებ
   შენი ბაღის ცხოველ ჩითილზე.
აჰა, ჩიტის რძეც, ღვთაებრივო,
   სიყვარულის ზღაპრის ჩიტის რძეც.

4. უხმობს ჩიტი ჩიტს, ხმები ჩქეფენ
   ღვთაებრივი და უზადონი:
— ჩემო ბატონო, მო, მო, მო, მო...
   მე ყმა ვარ და შენ ხარ ბატონი.
უშენოდ ნარვლენ, ჩამაჭკნობენ
[illegible]

5. [illegible]

6. [illegible]

7. [illegible]

8. [illegible]

## თამარ ერისთავი

### მიძღვნა არაგვს

[illegible]

### ბორია კახიანს

[illegible]

## მზია ხეთაგური

[illegible]

### სხვის ნაცვლად

[illegible]

## ჩვენი მილოცვა

# ალექსი ჯონუა—60



გამოჩენილ აფხაზ პოეტს და საზოგადო მოღვაწეს ალექსი ჯონუას 60 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით პოეტს მისალმებები გაუგზავნეს სსრკ მწერალთა კავშირისა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობათა სამდივნოებმა. მისალმებებში ნათქვამია:

სულითა და გულით მოგილოცავთ თქვენ, გამოჩენილ აფხაზ პოეტს, საზოგადო მოღვაწეს, სახელოვან იუბილეს — დაბადების სამოც წლისთავს.

თქვენი ლექსებისა და პოემების წიგნები, სადაც თქვენ უმღერით საბჭოთა ადამიანის მხედრულ გმირობას, კომუნიზმის მშენებელს, მის მაღალ იდეალებს, მშობლიური კუთხის ბუნების ხიმშვენიერეს, კარგა ხანია შეიყვარეს პოეზიის მრავალრიცხოვანმა თაყვანისმცემლებმა. თქვენი საუკეთესო ნაწარმოებები თარგმნილია ქართულ, უკრაინულ, რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზე...

ჩვენ დიდად ვაფასებთ თქვენს დაუღალავ საზოგადო მოღვაწეობას. მრავალი წლის მანძილზე თქვენ მეთაურობდით ჟურნალ „ალაშარას", იყავით აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრი, არჩეული იყავით სოხუმის საქალაქო საბჭოსა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

გისურვებთ, ძვირფასო ალექსი ნესტორის ძევ, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ახალ შემოქმედებითს წარმატებებს.

# მშობლიური პოეზიის ერთგული მუშაკი

გამოჩენილ აფხაზ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ალექსი ნესტორის ძე ჯონუას სამოცი წელი შეუსრულდა. ალექსი ჯონუა პოეტთა იმ სახელოვან პლეადას მიეკუთვნება, რომელიც 40-იან წლებში მოვიდა აფხაზურ პოეზიაში და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელი ეროვნული ლიტერატურის განვითარებაში. და აი, უკვე ოთხი ათეული წელიწადია პოეტი ალექსი ჯონუა მოუღლელად ილვწის აფხაზური საბჭოური ლიტერატურის სარბიელზე და ამავე დროს გამუდმებით ტრიალებს რესპუბლიკის კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში.

ალექსი ჯონუა დაიბადა 1920 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში კოლმეურნე გლეხის ოჯახში.

1938 წელს სოხუმში დაამთავრა ლაკობას სახელობის აფხაზური სკოლა და შევიდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მაგრამ უმაღლესში სწავლა ომმა აღარ დააცალა. ალექსი ჯონუა ფრონტზე მიდის. 1942 წლის მაისში ტყვედ ვარდება, მაგრამ ერთი თვის მერე ახერხებს ეშელონიდან გამოქცევას და უკრაინაში, ვინიცის ოლქში, პარტიზანთა იატაკქვეშა ორგანიზაციაში შედის. შემდეგ გადადის მეორე უკრაინული პარტიზანული ბრიგადის მოქმედ რაზმში, რომელსაც ჰქვია „სამშობლოსათვის", სადაც იმყოფება 1944 წლის იანვრამდე.

დემობილიზაციის შემდეგ განაგრძობს სწავლას სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1947 წელს.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ალ. ჯონუა სხვადასხვა თანამდებობაზეა, ამასთან აქტიურ შემოქმედებით საქმიანობასაც ეწევა. მუშაობს აფხაზური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სოხუმის პედაგოგიურ სასწავლებელში, ლიტერატურულ კონსულტანტად აფხაზეთის მწერალთა კავშირში, გაზეთ „აფსნი ყაფშის" განყოფილების გამგედ, ჟურნალ „ალაშარას" მთავარ რედაქტორად. 1966 წლიდან 1978 წლამდე იგი აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრია. ამჟამად იგი განაგებს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს.

მიუხედავად სამსახურებრივი მოუცლელობისა და საზოგადოებრივი მუშაობისა, მისთვის მთავარი მაინც მშობლიური ლიტერატურის სარბიელზე მოღვაწეობა იყო.

ევროპაში მეორე მსოფლიო ომი ბობოქრობდა, ხოლო ჩვენი სამშობლოს დასავლეთ საზღვრებზე ფაშისტური ჭირის შავი ღრუბლები გროვდებოდა. ალექსი ჯონუა არმიაში მიდიოდა და სატრფოსადმი მიძღვნილი ლექსი იყო მისი პირველი პოეტური სტრიქონები. ეს იყო ჟამი გაფურჩქნული სიჭაბუკისა, ჟამი ცხოვრებაში შესვლისა, ჟამი პირველი სერიოზული გამოცდისა, ჟამი ოცნებათა აყვავებისა, მხნეობისა და შემოქმედებითი ძიებებისა. მას აქეთ ალ. ჯონუამ არცთუ იოლი, მაგრამ კეთილშობილი გზა განვლო. და დღეს თავისი სამოცი წლის სიმაღლიდან უკანმოსახედავიც საკმაო აქვს: მკაცრი საფრონტო ცხოვრება, სახიფათო პარტიზანული ბილიკები, დამარცხებანი, გამარჯვებანი, შინ დაბრუნება, ომისშემდგომი მძიმე დრო; შეწყვეტილი სწავლის გაგრძელება, ინსტიტუტის დამთავრება, სამსახური, წიგნებისა და ჟურნალების რედაქტირება, ავტორებთან, ახალგაზრდა და დამწყებ მწერლებთან მუშაობა, მოღვაწეობა განათლების სარბიელზე, ხოლო რაც მთავარია — შემოქმედებითი შრომა, წიგნები, წიგნები...

ყოველივე ამას არ შეეძლო შესამჩნევი კვალი არ დაეტოვებინა. თვითონ პოეტი წერს: „თმა კი თოვლს მიგავს". მაგრამ, საბედნიეროდ, ალექსი ჯონუა მუდამ ინარჩუნებს ჭაბუკურ მხნეობასა და ტემპერამენტს. რაც არ უნდა შეემთხვას, იგი მუდამ საუცხოო გუნებაზეა. ეს კარგია. კარგ გუნებაზე ყოფნა ხომ ახალი შემოქმედებითი აღმავლობისთვის შთააგონებს, ახალ ძალას ჰმატებს.

ალექსი ჯონუას პოეზია მთის ნაკადსა ჰგავს, განუწყვეტლივ რომ ასკდება თავის ნაპირებს. სხვაგვარად არც შეიძლება. პოეტი აიმარას ხეობაში დაიბადა. მამისეული სახლის წინ მთელი წელიწადი ბობოქრობს, გრუხუნებს გააფთრებული მდინარე დუაბი. ვინც კარგად იცნობს ალექსი ჯონუას პოეზიას, დუაბის აბობოქრებულ ტალღებს რომ შეხედავს, აუცილებლად იტყვის: აი სად დაბადებულა აფხაზი პოეტი ალექსი ჯონუა!

წელს გამომცემლობა „ალაშარამ" მკითხველს მიაწოდა ალ. ჯონუას პოეტურ ნაწარმოებთა კრებული, რომელიც მოწმობს არა მხოლოდ მის ნიჭიერებას, არამედ აგრეთვე მის უდიდეს მოკრძალებას და პასუხისმგებლობას პოეზიის წინაშე, მკითხველის წინაშე. წიგნში მკაცრადაა შერჩეული ლექსები, — შეტანილია მხოლოდ ისინი, დროის გამოცდას რომ გაუძლო.

ფართო და მრავალმხრივია ალექსი ჯონუას პოეტური სამყარო. მის შემოქმედებაში ვხვდებით როგორც მოკლე ლირიკულ ლექსებს, ასევე ეპიკურ, ფართოდ განზოგადებულ ნაწარმოებებს სამშობლოს, ხალხის შესახებ, კომუნისტური პარტიის შესახებ. პოეტი შთაგონებით უმღერის აფხაზეთს, უმღერის მის წარმტაც მთა-ველებს, ჩაის პლანტაციებს, ჭალარა მთებს, დაჩრდილულ ხეობებს, მთიდან გადმომჩქეფარე ნიაღვრებს. მის ლექსებში ნახავთ ალიონს, კაშკაშა მზეს და გრილ ჩრდილს, მხვნელ-მთესველთა სიმღერას, სალამოთი რომ მოისმის მინდორველებიდან. პოეტთან ერთად ეწვევით ლაშქინდარის მაღალ მთებს, ტყვარჩელის მაღაროებს. და ყველგან ნახავთ ერთ პატრონს — ადამიანს, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებს ყველაფერს. ალექსი ჯონუას პოეზიაში დიდი ასოებითაა ჩაწერილი სიტყვები: ადამიანი და ადამიანობა!

ალ. ჯონუას პოეზიაში გამუდმებით ვხვდებით ხალხის სიბრძნეს, მის ფილოსოფიას, სიკეთეს, შრომისმოყვარეობას, ხვალინდელ დღეზე ოცნებას. და ყოველ სტრიქონშივეა თვით პოეტი, ფართოდ გულგახსნილი და მკითხველისკენ სიყვარულით ხელებგაწვდილი. იგი ყოველთვის მაგალითია ახალგაზრდათათვის (რომელთა აღზრდასაც მან იმდენი ძალა და ენერგია მოახმარა), მაგალითია პოეტის ოსტატობისა და პატიოსნებისა.

გამოჩენილი აფხაზი პოეტის ალექსი ჯონუას ნაწარმოებებს კარგად იცნობენ არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ მის მიღმაც. მისი წიგნები გამოდის მოსკოვსა და თბილისში, ხოლო ცალკეული ლექსები საბჭოთა კავშირის მრავალ ენაზეა გადათარგმნილი. თვითონ პოეტი ბევრს თარგმნის სხვა ენებიდან აფხაზურ ენაზე.

ბოლო წლებში შექმნილ მის ლექსებს რომ ვკითხულობთ, დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოეტს კვლავ ჭაბუკურად უძგერს გული, რომ მისი იუბილე — მისი მეორე გაზაფხულის დასაწყისია. ამიტომაც დაწერა მან ერთ ლექსში, მოუთმენლად მოველი კარზე ზარის დარეკვას, სანუკვარი მეგობრის მოსვლას ლხენით მოველიო.

პოეტის სანუკვარი მეგობარი ხომ მისი პოეტური სტრიქონებია, მისი ლექსებია, მისი მკითხველებია. ადამიანი, რომელსაც სწყურია ახალი მეგობრები და მოუთმენლად მოელის მათ მოსვლას, არასოდეს არ დაბერდება. ახალ-ახალი პოეტური სახეები, ახალ-ახალი აზრები უხმობენ მას ახალ-ახალი პოეტური ნაწარმოებებისაკენ.

ალექსი ჯონუა პროზასა და პუბლიცისტიკაშიც მუშაობს. მის კალამს ეკუთვნის ავტობიოგრაფიული მოთხრობები პარტიზანთა მძიმე ცხოვრებიდან და მრავალი ნარკვევი და პუბლიცისტური სტატია ახალი კომუნისტური ცხოვრების მშენებელთა შესახებ. პოეტი ბევრს ილვწის, რათა მშობლიური ლიტერატურა გაამდიდროს კლასიკური ნაწარმოებების თარგმანებით. მან აფხაზურად თარგმნა ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ტ. შევჩენკოს, ი. ფრანკოს, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის და სხვათა ლექსები, ალ. ჯონუა კარგა ხანია მუშაობს დიდი რუსი მწერლის მიხეილ შოლოხოვის ნაწარმოებთა თარგმანზე. მშვენივრად თარგმნა აფხაზურად მისი „ბედი კაცისა". და მაშინვე შეუდგა „წყნარი დონის" თარგმნას. ამჟამად იგი მთლიანად ამ დიდ შრომაშია ჩაბმული.

ალ. ჯონუა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. პარტიამ და ხალხმა მაღალი შეფასება მისცა გამოჩენილი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობას. იგი დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის" ორდენით და მედლებით, აგრეთვე საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით. ალ. ჯონუა არჩეული იყო სოხუმის საქალაქო საბჭოს ხუთი მოწვევის დეპუტატად, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატად. იგია აფხაზეთის მწერალთა კავშირის გამგეობისა და მისი ბიუროს უცვლელი წევრი, ჟურნალ „ალაშარას" სარედაქციო კოლეგიის წევრი.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება ალექსი ჯონუას შესახებ. მაგრამ ამას უფრო უკეთ და სრულად ჩვენი ლიტერატურათმცოდნეები და კრიტიკოსები იტყვიან. მე კი მინდა გულწრფელი სიამოვნებით გამოვხატო მისდამი სიყვარული და მივულოცო შესანიშნავი თარიღი — 60 წლის იუბილე.

დასასრულ მინდა ვთქვა: მე მიყვარს ალექსი ჯონუას პოეზია, მიყვარს მისი ადამიანობა. მასში ბედნიერადაა შერწყმული ორივე — პოეზიაც და ადამიანობაც. აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ნეკრასოვის ნათქვამი: შენ შეგიძლია არ იყო პოეტი, მოქალაქე კი გევალება იყოო. ალექსი ჯონუა პოეტიცაა და მოქალაქეც. ეს დიდი ღირსებაა, საუცხოო მადლია.

კონსტანტინე ლომია

## ავთანდილ გალდავაძე

# კაფე-თესე

### მოთხრობა

პარასკევი თენდებოდა, ბაზრობის დღე... ადრე ქალაქის ბაზარი სულ მუდამ დუღდა და გადმოდიოდა... ახლა თითქმის მინავლებულიყო მისი დიდების ნიშან-კვალი, — სადღა იყო ის ხალხმრავლობა, საქონლის ნაირნაირობა და მყიდველისა და გამყიდველის შუამავალი — ღრიანცელი, გნიასი და გაგანი...

არც ხალხი იყო მობაზრე და არც საბაზრო გააჩნდათ რამე, — ომი ბორიალობდა დედამიწის ზურგზე და ყველა კუთხე-კუნჭულში ჩრიდა ბოლიან ცხვირს...

კოწია, კოლია და მიტო ძმები იყვნენ, ღვიძლი ძმები, ერთი დედმამის შვილები. ძმები იყვნენ და ძმურად ცხოვრობდნენ, ლუკმას არ დაიშურებდნენ ერთმანეთისათვის და სულს არ დაუჭერდნენ ურთიერთს... ასე ჩაატარეს ყვავილხანობა, სიყმაწვილე, სიჭარმაგე... ასე მოიყარნენ სიბერკაცემდე... მერე ეს ამოსაგდები ომი ატყდა და ერთურთის ნახვა დაუძვირა და დაუნატრა ძმებს — ამ ცოდვის ტრიალში სად ეცალათ ერთმანეთის მოსაკითხად, ენის მოსაბრუნებლად და გულის მოსაოხებლად...

ყველაფერსა აქვს თავისი დასასრული და თოფ-ზარბაზნების გრიალმაც თანდათან იქით გადაინაცვლა, საიდანაც დაიწყო ეს წყეული ომი. სწორედ ამ დროს მოვიდა სიხარულის მაუწყებელი წერილი — ჩამოსვლას იწერებოდა კოლიას ბიჭი.

ჰოდა ამ სალამოს თავი შეიყარეს ძმებმა, მოისაუბრეს და საბაზროდ — ვისაც რა ებადა — გამომზადება დათქვეს: კოლიამ, მეთ მოზვერიო, მიტომ, ჩემდა თავად, კაჭით გაპიპინებული ღვინოო, კოწიამ, უკან როგორ დავიხევ, საკერავი მანქანაო (დრო რომ დროობდა, კონსტანტინე ვასილიჩი პირველი თერძი იყო მთელს ხონქალაქში... ვაკე იმერეთში ნატარ-ნამგზავრი ადამიანი სად არ შეხვდებოდა მის ნახელავ ჩაბალახ-ჩოხა-ახალუხით დამშვენებულ, ჯაყვაში გამოსულ, თავმომწონე კაცს...).

ამ სალამოს რა ხანია მოკუმული ბაგეები გახსნეს ძმებმა, წვრილი ჭიქებით შეუყვნენ, საყელო მოიფომფლეს და სიმღერა დაალილინეს... გვიანამდე ელამუნებოდა ყურთასმენას ხან „მრავალჟამიერი", ხან „სადაც წასულა ქართველი" და ხან „იმერეთი-ამერეთი, გურია და სამეგრელო"...

გადაშუალამებულზე წავიდ-წამოვიდნენ და გამთენიის მოლოდინში მუთაქაზე მოასვენეს საფიქრალით სავსე, მხცით მოსილი და ბრუჟით დამძიმებული თავები.

ნისლის მარმაშში გახვეული რიბირაბო ნელ-ნელა წამოიმართა აღმოსავლეთიდან, ცის ციცაბოს აუყვა, ცამრგვალზე პირქვედაკიდებულ მთვარის რკალს შეავლო თვალი, დაღმა დაეშვა, სიფრიფანა კალთები ხეთა წვეროკინებზე ჩამოაფლითა, გაშიშვლდა, გადედიშობილდა, ცვარ-ნამით მოაალმასა ველი და მინდორი, ეზო-ეზო ჩამორიგდა, ნათელი მოიდგა და სინათლე მოჰფინა ირგვლივეთს...

მამალმა დაიყივლა.

ხიომ დაუზერა.

— აუ, კოწია!

— ფეხზე ვარ!

— ეჰეი, კოლია!

— მოვდივარ, მომყავს!

— აქეთ გადმოდით, გუდის მოზურგებაში წამახმარეთ ხელი!

კუტიკარები გამოიკეტეს, წალმა შებრუნდნენ, შუკაზე შედგნენ.

ტორტმანით მიდიოდნენ, ქსინვით სუნთქავდნენ, ენამოკიდებით ეხმიანებოდნენ ერთმანეთს...

წინ-წინ მოზვერი მიკუნტრუშობდა. მოზვერს საბელხელჩაკიდებული კოწია მიყვებოდა, კოწიას კვალში მიტო ედგა.

აჯაბაჯა ნაბიჯებით მიდიოდნენ, დროდადრო მოიღლებოდნენ, საზიდს მოიხდიდნენ, მუხლიდან ქარს ამოიღებდნენ, ბარგს კვლავ აიკიდებდნენ და სავალს შეუტევდნენ.

მანძილი ივანდიდიდან ხონქალაქამდე ადრე მოკლე, ერთ მუხლზე გადასარბენი იყო, ახლა — გაუთავებელი.

კოლიამ ანაზდად რაღაცას ფეხი წამოჰკრა, წაბორძიკდა, ფიქრი გაუწყდა, ქვეშ დაიხედა, თვალები წამოკარკლა:

ბელტები, ბელტები, ბელტები...

ელდანაცემივით დადგა, საბელი მოქაჩა.

— იმე! — წამოიყვირა.

— ვა! — მოადგა კოწია.

— ი! — იმცხეთა მიტომ.

მთელი შუკა, თითქოს ყორნების გუნდი დაფრენილაო, შავი კოლბოხებით იყო მოფენილი.

კოლიამ საბელი ძირს დააგდო, ფეხი დააჭირა, კოწიამ და მიტომ ტვირთი გზის პირას დაასვენეს.

ბრუჟი გაუნელდათ, რული გაუფრთხათ.

ჩაიხარეს, ჩაიმუხლეს, ჩოქზე დადგნენ.

ბელტები ატრიალეს... ბელტებს, ვაზის გამხმარი ფესვებით რომ იყო დაძაფული, ალაგ-ალაგ თოხის ყუის ნაცემ-ნაბეგვი აჩნდა და პრიალი გაჰქონდა.

თავი წამოყვეს, წელი წამოწიეს, წამოდგნენ.

მარჯვნივ გაიხედეს, — ისეთი არაფერი, მარცხნივ მიბრუნდნენ და შეცბნენ: ისაკი ბახტაძის ეზოდან გამოეტანათ მითაჟამიდან ადამისა და ევას მოდგმის მკვებავი, გლეხკაცის ოფლჩანაღვარი და ნალოლიავები მიწა...

— კაფე-თესე! კაფე-თესე! — გაისმა კაკლის რტოებში მოფუთფუთე გუგულის ძახილი.

ჩაფიქრდნენ...

ჩახვდნენ: ისაკი ქერჩში შეაკვდა მტერს და კუთხე-მეზობელმა, ომში წასულთაგან, პირველად იგი დაიტირა.

ცოლი დარდმა დალია, ლოგინად ჩააგდო, დაავრდომა და ფრონტზე დაცემული ჯარისკაცის ბარობაზე ეს ერთი დავრდომილი დედაკაცი და ეს ერთადერთი ჩვილი შვილი დარჩნენ.

დედა-შვილმა ჰაი სჯა, ჰაი ბჭობა, ჰაი აქეთ, ჰაი იქით და ქმრისეულ-მამისეული ვენახი აჩეხა და საყანე მიწად აქცია ერთი მობრუნება ადგილი... ეჰ, გაჭირვებას შეურცხვა თავი, თორემ ოქრ საპალნე ცოლიკაურს ხუთ-ექვს, დიდი-დიდი, შვიდ გოდორ სიმინდზე და ერთ ბათმან ლობიოზე ვინ გაცვლიდა?!

ნავენახარი, წლითიწლობით ნაპატიები მიწის მეტი წილი შუკაში, მესრის აქეთ ეყარა, მესრის იქით კი ხრეშზე დამდგარი, ზერელედ მოშანდაკებული ქვაბული იმზირებოდა.

გული გადაუქანდათ მიწის მუშებს...

...გაუწყრა და გაუდგა დედა-ბუნება მხვნელ-მთესველს... რა ხანია წვიმის წვეთი არ ჩამოვარდნილა, სულ გამოშრა, გამოიფიტა და დაიშაშრა სახნავ-სათესი... ვერა და ვერ ჩააგდეს, ვერ დათესეს, ვერ მიაბარეს მიწას მოსავლის მარცვალი... მძვინვარებდა გვალვა, აჭერდა გაგანია სიცხე, მტვერი ასდიოდა მდინარეების კალაპოტს, ალმურში გახვეულიყო ქვეყნიერება.

მიწა ქირით თუ სამადლოდ თავის დროზე მოეხნა ვიღაცას... ისე კი, ღვთის წინაშე, ხელმადლიან მეგუთნეს ძაან ნამუსიანად უჭაფია, — ერთი ბეწო ხარვეზს, წამლადაც რომ გდომოდათ, ვერსად დაინახავდით... ზოგი რა და ზოგი რა მიზეზის გამო, — მიზეზს რა გამოულევს ქვრივ-ობოლს, — ვადაზე მობელტვა და მოთოხნა ვერ მოუხერხებიათ, გვალვა მომდგარა, გამხმარი ხელი დაუტრიალებია, გაუქვავებია მიწა-ნიადაგი და ახლა, თესვის მუწუხმა რომ მოაღწია, ეტყობა გუშინ, გაკვეთილების შემდეგ, მასავით მალხაზი ბიჭების ნადი უნადია ბიჭს... ცუნცულა ბავშვებს თოხის ყუა წაღმა-უკუღმა უტრიალებიათ, ვერარას გამხდარან, ჯარჯჩამომპალ მესერს მისევიან, აგერ-ეგერ მოფამფალებული, სოკოდაყრილი სარები გამოურიდებიათ, საძრომი გაუმართავთ და შიგნიდან გარეთ უთრევიათ ბელტები და შუკაში უყრიათ...

და ქანცგაცლილებს თოხების წალების თავიც არ შერჩენიათ, ზოგი სად მიუგდიათ და ზოგი სად...

შეი გიდი ბაღნების ჭკუავ!

ერთხანს გასუსული და გაოგნებული იდგნენ ჩვენი მიწა-წყლის ჭირისუფალი გლეხკაცები.

— რა ვქნათ ახლა ჩვენ? — თავაუღებლივ იკითხა გაოგნებიდან გამოსულმა კოწიამ.

— შარვლები დავიკარწახოთ და სახელოები დავიკაპიწოთ! — მიუგო კოლიამ, საბელი სარზე გამოაბა, შარვლის ტოტები ამოიკეცა, ხელები დაიმკლავა და გოროხს დაწვდა.

— აგაშენა ღმერთმა! — შეუქო საქციელი მიტომ და თავადაც გოროხი აიტაცა.

— პირიანი ბიჭები ხართ, წუნი არ გაქვთ! — დაფაცურდა კოწიაც. და ატყდა გზიდან ეზოში გადაყრილი კოლბოხების კოლბოხებზე ხეთქვა და ხათქახუთქი.

შუკაში ბელტები პირწმინდად აკრიფეს, ნაფხვენიც კი მუჭა-მუჭა მოაგროვეს და თავის ადგილზე გადაუძახეს.

გაიწმინდა გზა...

წელში გაიშალნენ, ხელები დაიფერთხეს, სული მოიდგეს.

აქეთ-იქით ჭრიალ-ჭრიალით იღებოდა ეზოს ჭიშკრები და ზანტად მოზლაზნე ძროხებითა და მობუსკნავე მოზარდებით ივსებოდა შუკა.

თვალსა და ხელს შუა დნებოდა დრო...

— რა გულხელდაკრეფილი დგეხარ, შუა ტყავებაში ხო არ მივატოვოთ საქნარი? — შეფუცხუნდა კოლია.

— კიდევ ერთი მუქარა შევუტიოთ! — კვერი დაუკრა კოწიამ.

— აბა, დროს ნუ ვკარგავთ! — ნამწვი მოისროლა მიტომ და მოსრიხა.

მესერს მიადგნენ, ამოისუნთქეს, მუცლები აიკრიფეს და ხანში გვერდულად გაძვრნენ. ალაგ-ალაგ მიგდებული თოხები წამოაყენეს, ყუა მოუსინჯეს, მოიქნიეს, კოლბოხებს ყური აუწვეს და ბდღვირი ააყენეს.

გამომშრალი და გამოფიტული იყო მიწა, ვერც მასში მბუდობებს, ჭიაყელასა და ჭია-ჭუას მოჭკრავდით თვალსა და არც ნისკარტოსანთა ფრთების ფარფარი და ჟივილ-ხივილი აყრუებდა ყურს...

თოხის ყუას უხათქუნებდნენ ბელტებს და ნაპერწკლების ბურჯღალი სცვივოდაო, რომ გითხრათ, სულ ერთია, მაინც არ დამიჯერებთ...

არ ნებდებოდა გაკერკეტებული, გაგოხებული, გაკაჟებული კოლბოხი... არ ნებდებოდა, მაგრამ არც ვინ ანებებდა თავს...

სიცხის ლული ტრიალებდა...

ოფლის ლული სდიოდათ...

ბოლოს მიწის მუშის მარჯვენამ იმარჯვა, — გატყდა ბელტი, დაიბზარა და დაიფშვნა.

ბდღვირში ამოიგანგლნენ, ქაფი გადაუვიდათ, ხელისგულის ბზარებში და შუბლის ღარებში შავ ზოლებად ჩაებეჭდათ ოფლში აზელილი მტვერი.

დაიალხნენ, ხახა გამოეგვალათ, პირში ნერწყვი აღარ შერჩათ.

გაივსო, გალაღდა საყანე ადგილი, ამო სახილველი გახდა, — ბელურას ფეხის ნაკვალევიც კი დააჩნდებოდა ზედ.

პატარა, ერთი მობრუნება ადგილი გამზადებული იყო დასათესად.

გასავათდნენ, გაილიეს და საქმეც გალიეს.

— კაფე-თესე, კაფე-თესე! — ისევ ისე მოითხოვდა გუგული.

— კაი, კაი, გუგულო, რაღა შენი შეგულიანება გვინდა... ეხ, ახლა, ამ გახურებულ გულზე, არ დამხატავდა კაცს ერთი ყლუპი კიბულა წყალი? — თქვა მიტომ, კეფა მოიფხანა და თვალი ჭისკენ გააპარა.

— რას ამბობ, მიტო, სადაცაა წამოდგება ბიჭი, გარეთ გამოვა და თვალს მოგვკრავს უცხო ხალხს... — შეედავა კოლია.

— ვიცი, ადამიანო, რა პირში მეცი, მართლა ჭას კი არ მივვარდები, ტყუილად მოვაბრუნე ენა, — მიუგო მიტომ და ჭას ზურგი შეაქცია.

სახელოთი შუბლი მოიწმინდეს, თოხები წააქციეს, თოხის ტარზე ჩამოსხდნენ, წუღები გაიხადეს, წინდები გაიძვრეს, ხელის გულზე დაიფერთხეს... წამოდგნენ, თოხები დააყუდეს, ხანში უკან გამოძვრნენ, სარები ჩადგეს, მესერი აღადგინეს...

საბელი ახსნა კოლიამ, გუდა მოიზურგა მიტომ, საკერავი მანქანა აიტატა კოწიამ.

მოჭუტული თვალი გაუსწორეს ცისკიდურს.

მზე თოხის ტარზე იდგა... ახლა რაღა დროს ხონქალაქში წასვლა იყო, — ბაზარში ყველას გაყიდული ექნებოდათ გასაყიდი...

უკან, გამოვლილ გზას, მიუტრიალდნენ...

— კაფე-თესე, კაფე-თესე! — გუგულის ძახილი მიაცილებდათ წელში მოდრეკილ, გუგულივით ბერიკაცებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ატილა იოჟეფი

[illegible]

მიხეილ ქვლივიძე

### ხელი დამადე

[illegible]

### კარში რომ გამოჩნდა...

[illegible]

ზენაარს შევნირე ჩურჩულით მადლობა,

ჭმუნვა განმიქარდა, ვიგრძენი შვება და...
ქალი კი მსუბუქად ქუჩას მიჰყვებოდა,

და ამ დიდ ქალაქში ძუნძულით
დაღლილი —
მას სიო მისდევდა ერთგული ძაღლივით.



თბილისი. ვაჟა-ფშაველას პროსპექტი.

ჩზ 26.XII.80

# დიდ მგოსანთან ერთად

ლადო ჯაფარიძე

რა უცბად გარბის დრო! მე რომ პირველად აკაკი ვნახე ქუთაისში, იგი მაშინ მხოლოდ 60 წლისა იყო, ხოლო, როცა ახლოს შევხვდი, 1912 წელს რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს, მოხუცი მომეჩვენა.

მინდა გავიხსენო ზოგი რამ, როგორც ამ მოგზაურობის დამსწრემ და მონაწილემ.

დავიწყებ იქიდან, თუ როგორი ამბით ვემზადებოდით დიდი და პატარა, მგოსნის შეხვედრისათვის, ყველანი ახალ-ახალ ჩოხა-ახალუხს ვიკერავდით, ჩემს პატარა ძმასაც კი — უჩას, დღეს სახელოვან მხატვარს, რომელიც ხუთი წლისაც არ იყო მაშინ, დედამ მშვენიერი, სირმით მოვლებული ქულაჯა შეუკერა.

სტუმარს ონამდე 12 კილომეტრზე, სორის ჭალაზე დავხვდით სამასამდე ცხენოსანი. როცა კორტეჟი მოგვიახლოვდა, და პირველ ფაეტონში, რომელიც სხვა ეტლებისგან განსხვავებით ცოცხალი ყვავილებით იყო მორთული, მგოსნის საყვარელ სახეს მოვკარით თვალი, ერთბაშად „ვაშა“ დავძახეთ და ტაშის გრიალით შევეგებეთ საპატიო სტუმარს.

მგოსანმა სალამზე სალმით გვიპასუხა და ქუდი მოიხადა, ხოლო როცა შეამჩნია, რომ სიტყვით მიმართავდნენ, ფეხზე წამოდგომა მოიწადინა, მაგრამ სთხოვეს არ შეწუხებულიყო.

იშვიათი სანახავი იყო ონის მისადგომთან ამართული ტრიუმფალური თაღი ლოზუნგებით და ცოცხალი ყვავილებით, სადაც აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ხალხის წრეს თეთრად გამოწყობილი სამი ულამაზესი გოგონა გამოეყო და ზღაპრული ფერიებივით მიეგებნენ პოეტს ყვავილებით ხელში, როგორც მისი მუზები და ეტლში ჩაუსხდნენ. ეტლის საფეხურებზე აქეთ-იქით მე და გრიგოლი დავდექით, ერთნაირად გამოწყობილნი, და ეტლიც დაიძრა ცენტრისაკენ. ძლივს მიიკვლევდა გზას უთვალავ ხალხში, გეგონებოდათ მთელ რაჭას მოეყარა აქ თავი. როცა მოედანზე გამოვჩნდით, ისეთი ყიჟინა დასცეს სიხარულისა, რომ ცხენები დაფრთხნენ და ძლივს შეაკავეს.

დავით გოცირიძის სახლი, რომელიც დანიშნული იყო სტუმრების მისაღებად, ხალხით იყო სავსე. ეზოში ფერხული მოეწყოთ, ისმოდა სიმღერები; ცეკვავდნენ ბავშვები და მოხუცები, ცეკვავდა ყველა.

სამი დღე დაჰყო ძვირფასმა სტუმარმა თავისი თანამგზავრებით ონში და ამ ხნის განმავლობაში გვერდიდან არ მოვშორებივართ.

ლაპარაკობდა პოეტი სადად და მარტივად, თითქოს სულ უბრალო ამბავს ყვებაო და აუღელვებლობა ძალიან შვენოდა პოეტის ოლიმპიურ შესახედაობას, სიდინჯეს, სიდარბაისლეს.

ხმა არ ჰქონდა ძლიერი, როგორიც მის აღნაგობას შეეფერებოდა. მისი ხმა იმდენად სასიამოვნო, ნარნარი და გულშიჩამწვდომი იყო, რომ აუღელვებლად ვერ მოუსმენდით; რაც უნდა ხმადაბლა ელაპარაკნა, სიტყვები მოისმოდა მკაფიოდ და გამორჩეულად, ყველაფერი დახვეწილი იყო მასში და მოხდენილი. ხალხი ქუდებს მაღლა ისროდა მის გამოჩენაზე.

თუ არა ნამდვილმა სიყვარულმა, მაშ რამ აიძულა უბრალო სოფლელები, ბარი და თოხი მიეტოვებინათ და ბილიკ-ბილიკ ერბინათ ტყეებსა და ველებზე, რათა დროზე მიესწროთ „ფოშტის გზაზე“ და პოეტი დაენახათ! მისი ლექსები ბევრმა ზეპირად იცოდა, მიუხედავად ანბანის უცოდინარობისა.

— განა შეიძლება აღწერა ჩემი აღტაცებისა, — უთხრა პოეტმა გაზეთის კორესპონდენტს მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, — და ყველა იმისა, რაც ვნახე? ისეთი აღფრთოვანება იყო ყველგან, რომ სიზმარში მეგონა თავი.

ნადიმზე პოეტი დინჯად იჯდა ხოლმე სუფრის თავში, ღვთაებრივი სიდიადით და ყურადღებით უსმენდა სიტყვებს. ღვინოს ძალზე ძუნწად სვამდა, თითქმის არც ეკარებოდა ხვანჭკარიდან მოტანილ უგემრიელეს „ალექსანდრეულს“. გაეგოთ მასპინძლებს, რომ არც სხვისი უყვარს გადაჭარბებული სმაო, და ყველა ცდილობდა ზომიერება დაეცვა და პოეტი არ შეეწუხებინა.

მე არ ვარ გმირიო, — თქვა ერთხელ, როცა მას ეროვნული გმირი უწოდეს — მე მხოლოდ წინამორბედი ვარ მისიო და მე ღირსი არ ვიქნები „ხამლი შევხსნა ფერხთა მისთაო“. ხარობდა გულით და დიდად აღფრთოვანებულიც იყო, იმდენ ხალხს რომ ხედავდა თავის ირგვლივ, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალულს, და მის ბრწყინვალე სახეს კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალება ემატებოდა.

ის რომ ფეხზე იდგა სუფრის თავში, გეგონებოდათ მთა ჩამომდგარაო. რაც უნდა ზღვა ხალხში ყოფილიყო, მაინც უცბად გეცემოდათ თვალში. მისი ახოვანი ფიგურა და ღირსებით აღსავსე სახე. მიკვირდა ერთ დროს, მაგრამ ახლა აღარ მიკვირს, როცა 1913 წელს მოსკოვში ადგილობრივ მწერლებსა და საზოგადოებრიობასთან შეხვედრაზე მის გამოჩენისთანავე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა გაოცებული, ხოლო უხუცესი ბობორიკინი — ცნობილი რუსი მწერალი — მას ხელზე ემთხვია.

მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილთან, დიდ ადამიანთან, დიდ მგოსანთან ერთად ვიყავი იმ დღეებში და თანაც ისე ახლოს, რომ მისი მახვილი გონებით გაბრწყინებული სიტყვები მესმოდა.

როცა პოეტის იქ ყოფნის დღეები ამოიწურა და დაგვემშვიდობა, მე, და არა მარტო მე, ყველამ, დიდმა თუ პატარამ, სიცარიელე და სიმარტოვე ვიგრძენით, თითქოს ობლები დავრჩენილიყავით ამ ქვეყნად.

აკაკი წერეთელი განა მარტო მგოსანი იყო და ტკბილ ხმათა მღერალი? ის უწინარეს ყოვლისა დიდი მამულიშვილი და ხალხის სულიერი მოძღვარი იყო, ჩვენი ერის თავკაცი და წინამძღოლი იმ დროს, დღეს კი — მისი მშვენება და დიდება, მისი სიამაყე.

და ასეთი იქნება ის მუდამ, დროთა სვლა ვერას დააკლებს მის დიდებულ სახელს.

# ძეგლები — მხატვრის თვალით



როგორც ცნობილია, ახლახან თბილისში ჩატარდა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობა.

ყრილობის დღეებში რუსთაველის პროსპექტზე დედაქალაქელები უსათუოდ შენიშნავდნენ ჩვენი უძველესი კულტურის ძეგლების, ტაძრების, ცალკეული პეიზაჟების საკმაოდ მოზრდილ ფოტო-ასლებს, რომლებმაც ამ დღეების მანძილზე ერთგვარი მშვენებაც კი შეჰმატეს ჩვენს ქალაქს.

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობას მიეძღვნა მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში გახსნილი გამოფენა. საინტერესოა გამოფენის მთლიანი სახე, რომელიც აერთიანებს როგორც თანამედროვე, ასევე უფროსი თაობის ქართველ თუ უცხოელ მხატვართა ნამუშევრებს. ეს მხატვრები კარგად იცნობდნენ საქართველოს, მოგზაურობდნენ, ეცნობოდნენ ქართული ტაძრებისა თუ კოშკების მდიდარ და თვითმყოფად არქიტექტურას.

გამოფენაზე წარმოდგენილია ცნობილი ფერმწერის ე. ლანსერეს ნამუშევრები, ასევე ო. შმერლინგის, ა. პეტერსის, გ. გრინევსკის და სხვათა ტილოები, რომლებშიც გაცოცხლებულია ქართული ტაძრები — ბოლნისისა და ბაგრატის, შიო მღვიმე, წუღრუღაშენი, სვანეთი, ძველი თბილისის ქუჩები...

საინტერესოდაა წარმოდგენილი ქართველ მხატვართა უფროსი თაობა — დავით კაკაბაძე, მოსე თოიძე, რობერტ სტურუა, რუსუდან ჭავრიშვილი, ნათელა იანქოშვილი და სხვა. აქვე მნახველები გაეცნობიან ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებასაც.







სურათებზე: ა. კაკაბაძე — „შატილი“, რ. ჭავრიშვილი — „უფლისციხე“, ს. ნიაური — „ხერთვისის ციხე“, ა. ოტრეშკო — „ანანური“.

## მცირე შენიშვნები

ქართველ მწერალთა ცნობარისათვის მასალების მოპოვებისას, სხვათა შორის, საჭირო გახდა პოეტ დარია ახვლედიანის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დროის დადგენა.

ყველგან მითითებულია 1901 წელი. პოეტსაც ნათქვამი აქვს: ჩემი პირველი ლექსი დაიბეჭდა „კვალში“ 1901 წელსო.

მაგრამ შემოწმებისას დარია ახვლედიანის გვარი არ აღმოჩნდა „კვალში“. ვერაფერი გვითხრა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურმა ბიბლიოგრაფიამაც“ (ნაკვ. III, 1944).

მაშინ მივმართეთ პოეტი ქალის ხელით - ნაწერ ავტობიოგრაფიას (დაცულია საქართველოს მწერალთა კავშირში) და ყურადღება მივაქციეთ გვარს — ახვლედიანი — შემდეგ ფრჩხილებში მოთავსებულ შენიშვნას „წინათ დარია ხუნდაძე“.

ამან ყველაფერი ნათელი გახადა: 1901 წლის „კვალში“ (№№ 17, 19) მართლაცაა დაბეჭდილი დარია ხუნდაძის (პირველი ქმრის გვარია) ლექსები.

ამრიგად, გაირკვა, რომ პოეტი დარია ხუნდაძე (ქალიშვილობის გვარი ქაჯაია), რომელსაც ბევრი ლექსი აქვს დაბეჭდილი „კვალში“ (1901-1903) იგივე დარია ახვლედიანია.

●

ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (1979, № 4) დაიბეჭდა ნ. ჯაშის საინტერესო სტატია „ქართული საბჭოთა ესთეტიკის სათავეებთან“, რომელშიც „ცისფერი ყანწების“ ლიტერატურული ჯგუფის წევრებად სხვათა შორის, დასახელებულნი არიან ტ. ტაბიძე და ვ. გაგელი.

ალბათ ხსენებული ლიტერატურული ჯგუფის ყოფილი წევრები კ. ნადირაძე და ს. კლდიაშვილი დაგვიდასტურებენ, რომ ფიზიკურად არ არსებობდა მწერალი ვ. გაგელი, ეს იყო ტ. ტაბიძის ფსევდონიმი.

რევაზ კვერენჩხილაძე

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

# უნგრელი და ქართველი ხალხის წარსულიდან

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა უნგრელი ისტორიკოსის ლაიოშ ტარდის წიგნი „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“. ლ. ტარდი მრავალი წელია ნაყოფიერად მუშაობს უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე და არა ერთი საყურადღებო წერილი დაბეჭდა, როგორც ქართულ, ისე ევროპულ ენებზე. მასვე ეკუთვნის, აგრეთვე, ისტორიული ხასიათის რომანი „იაკუბ ბეი“, რომელშიც ასახულია ერეკლე მეორის დროინდელი საქართველოს მდგომარეობა და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები. წიგნი ითარგმნა ქართულადაც.

ლაიოშ ტარდი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტთან. მან ამ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე 1973 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI ს-ში“.

ტარდი ქ. სეგედის უნივერსიტეტის პროფესორია და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტიური წევრი. მისი წიგნი „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“ მრავალი წლის შრომის ნაყოფია. ავტორმა შეისწავლა და გამოავლინა ევროპის სხვადასხვა ბიბლიოთეკებსა და არქივებში (ბუდაპეშტი, ვენა, ვენეცია) დაცული მასალები უნგრულ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, ლათინურ ენებზე. ნაშრომში გამოყენებულია დღემდე უცნობი მდიდარი წყაროები, რომლებიც შეეხება საქართველოსა და უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობას. სახელდობრ, დიპლომატთა მოხსენებითი ბარათები, მოგზაურთა ჩანაწერები და დღიურები, პოლიტიკური აგენტების ინფორმაციები, საგაზეთო სტატიები და სხვა.

წიგნის შესავალ ნაწილში მიმოხილულია შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს შესახებ XIII-XV საუკუნეებში და ქართველებთან უნგრელთა პირადი კონტაქტები.

უნგრელი მეცნიერის დაკვირვებით, უნგრეთ-საქართველოს დაახლოება, უმთავრესად, „ოსმალეთის საფრთხესთან“ იყო დაკავშირებული. უნგრეთს, ისევე როგორც საქართველოს, ოსმალეთი დაპყრობით ემუქრებოდა და ორივე ქვეყნების მესვეურები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ანტიოსმალური კოალიციების შექმნის საქმეში. ლ. ტარდის ვარაუდით, 1488-1489 წ.წ. ფერარასა და ფლორენციის საეკლესიო ყრილობებზე, რომლებზედაც იხილებოდა ანტიოსმალური ლიგის შექმნის საკითხი, ალბათ, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და უნგრეთის წარმომადგენლებიც.

XV საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპელთა ინტერესი საქართველოსა და ქართველების მიმართ იზრდება. ამ დროს ევროპაში შემუშავდა ანტიოსმალური კოალიციები, რომლებშიაც საქართველოს მეფეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. ამასთან დაკავშირებით, წიგნში მოტანილია საყურადღებო ცნობები.

XVI საუკუნის დამდეგიდან ოსმალეთსა და ირანს შორის იწყება ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომი ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის. ამ ომების დროს ორივე სახელმწიფო ცდილობდა საქართველოს დაპყრობას და აქ გაბატონებას. ქართველი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა დამპყრობლებს. ევროპის სახელმწიფოები დაინტერესებული იყვნენ ირან-ოსმალეთის ომით, რადგან, როგორც წესი, ეს ომი ახუსტებდა ოსმალეთის აგრესიას ევროპის მიმართ. ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეები და დიპლომატები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობას და ამ ომებში საქართველოს მონაწილეობას. ყოველივე ამის გამო იმდროინდელ ევროპულ წყაროებში მოიპოვება ძვირფასი ცნობები ამ ომებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ, რასაც თვალნათლივ ადასტურებს ლ. ტარდის წიგნში მოტანილი მასალები. ამასთანავე დიდი ადგილი აქვს დათმობილი ოსმალეთთან უნგრეთისა და საქართველოს ურთიერთობის საკითხებს.

ნაშრომში შესწავლილია უნგრელი დიპლომატისა და ისტორიკოსის ანთალ ვერანჩიჩის (1564-1578) და სხვა უნგრელი ავტორების ის შრომები, რომლებშიც მოიპოვება ცნობები საქართველოსა და უნგრეთის ურთიერთობაზე.

წიგნში განხილულია XVI საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში გამოცემული ის შრომები და დოკუმენტები, რომლებიც შეეხება 1578-1590 წ.წ. ირან-ოსმალეთის ომსა და საქართველოს. განსაკუთრებით უხვი ცნობებია მოტანილი ოსმალეთთან ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან XVI საუკუნის უკანასკნელ მესამედში.

წიგნში დეტალურად არის აღწერილი ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა სიმონ მეფის მეთაურობით. ამასთანავე ნაჩვენებია, თუ როგორ ცდილობდა ოსმალეთის მთავრობა შეეტანა განხეთქილება მის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. წიგნში მოტანილია ახალი ცნობები დაუთხანის (სიმონ პირველის ძმის) 1585 წელს სტამბოლში ჩასვლასთან დაკავშირებით: სულთანმა მურად III დიდი პატივით მიიღო დაუთხანი, მას ქართლში სიმონის მამულები უბოძა და საქართველოში სიმონის წინააღმდეგ საომრად გამოისტუმრა.

ავტორი ამახვილებს ყურადღებას სიმონ I-ის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ საკითხზე, კერძოდ, განხილულია 1595 წ. სიმონ ქართლის მეფეს, ალექსანდრე კახეთის მეფესა და შაჰ-აბას I შორის დადებული სამთა კავშირი, მიმართული ოსმალეთის წინააღმდეგ. ანტიოსმალური ლიგის მონაწილეებმა ევროპაში თავისი ელჩი გაგზავნეს, მას წერილები გაატანეს და ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდეს. მართალია, ამ საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში არა ერთი მკვლევარი შეხებია (მ. თამარაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი და სხვ.), მაგრამ ლ. ტარდის თავის ნაშრომში მოტანილი აქვს დამატებით ახალი მასალები, რომლებიც დღემდე ცნობილი არ იყო. ვენეციის არქივში მან მოიძია სიმონ მეფის წერილი, გაგზავნილი ვენეციის რესპუბლიკის დოჟისადმი, შედგენილი 1596 წლის 6 მაისს, წერილი დაწერილია ბერძნულ ენაზე, აქვს სიმონ მეფის პირადი ხელმოწერა და ბეჭედი (1968 წ. ლ. ტარდიმ ამ წერილის ასლი გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს).

ნაშრომში აღწერილია საქართველოდან ევროპაში გაგზავნილი ელჩის, იაკობის მოლაპარაკება ევროპის სხვადასხვა ქვეყნების (ვენეცია, რომი, ვენა, პრაღა) მესვეურებთან ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით. საყურადღებოა, რომ ცნობები ამ მოლაპარაკების შესახებ დაცულია, აგრეთვე, უნგრულ ქრონიკებშიც. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენდნენ უნგრელები საქართველოს მიმართ, როგორ ცდილობდნენ ანტიოსმალური კოალიციის შექმნას.

ის მცირე შენიშვნები, რომლებიც გაგვიჩნდა ლ. ტარდის წიგნის გაცნობის შემდეგ, ძირითადად ფაქტობრივი ხასიათისაა. მკვლევარი წერს, რომ 1526 წ. მოხაჩთან ბრძოლის შემდეგ კონსტანტინეპოლში იყო უნგრეთის ორი საელჩო (გვ. 48). საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით ორი საელჩოს არსებობა დაუშვებელია. ვფიქრობთ, აქ საუბარია კონსტანტინეპოლში უნგრეთის ორი წარმომადგენლის თაობაზე. ასევე 137 გვ. უნდა იყოს არა სპარსეთის ელჩები, არამედ ელჩი.

გვხვდება სხვა უზუსტობებიც. ჩილდირის ბრძოლა მოხდა არა 1578 წ. 18 სექტემბერს, არამედ 9 აგვისტოს (გვ. 115). ისლამი მიიღო არა ყვარყვარე ათაბაგმა, არამედ მანუჩარმა (გვ. 134). ჩალდირანის ნაცვლად სწერია ჩილდირი (გვ. 43), შაჰის ნაცვლად — სულთანი (გვ. 142). ოტომანის (გვ. 10) მაგივრად სჯობს ვიხმაროთ ოსმალეთი.

ეს მცირე შენიშვნები ოდნავადაც არ ამცირებენ ამ წიგნის მაღალ მეცნიერულ ღირებულებას. ამრიგად, ლაიოშ ტარდის გამოკვლევა „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“ მეტად საყურადღებო ნაშრომია. იგი შეიცავს უხვსა და მნიშვნელოვან მასალას XVI საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის და მას დიდი ინტერესით შეხვდებიან არა მარტო საქართველოს ისტორიის სპეციალისტები, არამედ მკითხველთა ფართო საზოგადოებაც.

მიხეილ სვანიძე

# განიხილავენ საგუშაგოების მუშაობას

ამას წინათ გამომცემლობა „ნაკადულის“ საბავშვო წიგნის სახლში ჩატარდა საბავშვო წიგნის სახლის საგუშაგოების ხელმძღვანელთა ორდღიანი რესპუბლიკური თათბირ-სემინარი.

თათბირ-სემინარზე მოხსენება გააკეთა საბავშვო წიგნის სახლის დირექტორმა ჯენეტო ჰანტურაიამ. „ნაკადულის“ მიერ გამოცემული წიგნები მიმოიხილა ბიბლიოთეკის გამგემ მ. კუკავაძემ.

კამათში სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის ლენინის, თელავის, შუახევის, თბილისის 26 კომისრის, საგარეჯოს, თერჯოლის, ცხინვალის, ყვარლის და ბოლნისის რაიონთა საგუშაგოების ხელმძღვანელები, გამომცემლობა „ნაკადულის“ მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო ლიტერატურის რედაქციის გამგე ლ. გოგოხია და გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი ნ. კალანდარიშვილი.

კამათში გამოსულებმა ილაპარაკეს სამუშაო გეგმებზე, „ნაკადულის“ წიგნის სახლის საგუშაგოთა ამოცანებზე.

მეორე დღეს თათბირ-სემინარის მონაწილეებისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. პატარიძემ წაიკითხა ლექცია „ქართული ასომთავრული“, ხოლო გამომცემლობა „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ თ. ჩხაიძემ თათბირ-სემინარის მონაწილეებს გააცნო „ნაკადულის“ თემატური გეგმა.

# პოეზიის საღამო სტამბაში

პოლიგრაფისტთა კულტურის სახლის ლიტერატურულმა გაერთიანებამ მეთერთმეტე სტამბაში მოაწყო პოეზიის საღამო, რომელიც მიეძღვნა სკკპ XXVI ყრილობას.

საღამო გახსნა პოლიგრაფისტთა კულტურის სახლის დირექტორმა ნუნუ მესხმა.

„ქართული პოეზია სკკპ XXVI ყრილობის წინა დღეებში“ — ამ თემაზე ისაუბრა ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელმა პოეტმა ვასილ გვეტაძემ.

ქალაქის პოლიგრაფიულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, გაერთიანების წევრებმა: ლ. ტაბიძემ, გ. ყარაულაშვილმა, მ. კვინიკაძემ, გ. ბერაიამ, ჟ. სამსონიამ, ლ. შიშინაშვილმა, გ. ტურიაშვილმა წაიკითხეს სამშობლოსადმი, პარტიისადმი მიძღვნილი ლექსები.

სტამბის დირექტორმა ეკა ნეშუმაშვილმა ისაუბრა ლიტერატურისა და ცხოვრების მტკიცე კავშირზე.

საღამოს გულთბილი სიტყვით მიესალმა ჟურნალისტი ალექსანდრა არობელიძე და ვეტერანი პოლიგრაფისტი შოთა ჯიჯიეშვილი, ხოლო პოეტებმა ვახტანგ გორგანელმა და გიორგი გიგაურმა წაიკითხეს ლექსები.

სულიკო ლომჯარია

## კონკურსი გრძელდება

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს მწერალთა კავშირთან ერთად ამ რამდენიმე თვის წინათ გამოაცხადა ლიტერატურული კონკურსი საუკეთესო ნაწარმოებებზე, რომელთა წარმოდგენის და შედეგების გამოქვეყნების ვადები გრძელდება: ნაწარმოებთა წარმოდგენისა—1981 წლის 1 თებერვლამდე, ხოლო კონკურსის შედეგების გამოქვეყნებისა 1981 წლის პირველ მაისამდე.

გამოდის პარასკეობით

ფასი 10 კაპ.

ლიტერატურული საქართველო,

რედაქციის მისამართი,

380004, თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 7.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — -99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.